მკითხველთა საყურადღებოდ!

რედაქციამ მისამართი შეიცვალა: სულხან-საბას ქ. №3, სახელმწიფო კანცელარიის გვერდით, გრიბოედოვის თეატრის უკან. მობრძანდით, დაგვირეკეთ: 292-00-93, 599-79-76-79, 599-36-00-35.

საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგიანიც ბეჭდვული სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

სამშაბათი, 12 ივლისი. 2016 წ. №128 (8020), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ბიძინა ივანიშვილის 200-მილიონიანი საჩუქარი ქართველ ხალხს, ქართულ სახელმწიფოს!

ქვეყანას შეემატა უმაღლესი დონის საკონცერტო დარბაზი BLACK SEA ARENA



ჩვენ საქართველოში უნიკალური და მასშტაბური პროექტის განხორციელების მოწმე გავხდით — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა შეკვეთილში, ფონდ „ქართუს“ მიერ Black Sea Arena-ს სახელმწიფოსთვის გადაცემის ღონისძიებაზე განაცხადა.

პრემიერმა პროექტის მნიშვნელობაზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ობიექტის აშენებით გაიზრდება ტურიზმი, შესაძლებელი გახდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტორების მოზიდვა. მისი თქმით, დარბაზი უკვე მზად არის იმისთვის, რომ უმასპინძლოს სტუმრებს.

გიორგი კვირიკაშვილმა ფონდ „ქართუს“ მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ პროექტის განხორციელება უკავშირდება ბიძინა ივანიშვილს და მის ქველმოქმედებას.

— ეს გახლავთ ფონდი „ქართუს“ მიერ განხორციელებული 200-მილიონიანი პროექტი და დღეს ფონდი „ქართუ“ ამ შესანიშნავ საკონცერტო დარბაზს მთლიანად ჩუქნის სახელმწიფოს, გადასცემს მას საკუთრებაში. ამ პროექტის განხორციელება უკავშირდება ბიძინა ივანიშვილს, მის უპრეცედენტო ქველმოქმედებას. ეს არის მისი სამშობლოს წინაშე ღვაწლის კიდევ ერთი თვალსაჩინო მაგალითი. მინდა, ჩვენი მთავრობის სახელით გამოვხატო დიდი მადლიერება, განსაკუთრებით იმ იდეის გამო, რომ ასეთი უნიკალური საკონცერტო დარბაზი შეკვეთილის მახლობლად აშენებულიყო.

პრაქტიკულად, ეს გახლავთ რეგიონის განვითარების პროექტი. ეს ძალიან მნიშვნელოვანია შავიზღვისპირეთის ამ ნაწილისთვის. ასეთი მასშტაბური ობიექტის აშენებით გაიზრდება ტურიზმი, შესაძლებელი გახდება ადგილობრივი და უცხოური ინვესტორების მოზიდვა, რაც დიდი სტიმულია ბიზნესის განვითარებისთვის და, რაც მთავარია, ეს მხარე შეძლებს ისარგებლოს ტურისტული ინდუსტრიიდან მიღებული შემოსავლით, აღარაფერს ვამბობ დამატებით სამუშაო ადგილებზე, რომლებიც ასეთი მსხვილი ინვესტიციების განხორციელებისას იქმნება. მარტო მშენებლობაზე 600-ზე მეტი ადამიანი იყო დასაქმებული. როგორც ხედავთ, დარბაზი უკვე მზად არის იმისთვის, რომ უმასპინძლოს ჩვენს მოქალაქეებსა და უცხოელ სტუმრებს. დარწმუნებული ვარ, ინტერესი იქნება ძალიან მაღალი“, — განაცხადა გიორგი კვირიკაშვილმა.

საქართველოს მთავრობის მეთაურის თქმით, საკონცერტო დარბაზის ტექნიკური შესაძლებლობები სრულად პასუხობს საერთაშორისო სტანდარტებს.

„საკონცერტო დარბაზი თანამედროვე ტექნოლოგიებითაა აღჭურვილი, გათვლილია 10 ათასამდე მაყურებელზე, დაპროექტებულია სრული უსაფრთხოების დაცვით, გათვალისწინებულია სტუმრებისათვის სრული კომფორტი და რაც მისასალმებელია, გათვლილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე, არის მათთვის განკუთვნილი ადგილები, რისი პრეცედენტიც აქამდე არ გვქონია. დარბაზის სივრცე ისეთია, რომ შეუძლია, უმასპინძლოს ნებისმიერი მუსიკალური მიმდინარეობის კონცერტებს, თეატრალურ წარმოდგენებს და სპორტულ ღონისძიებებს. დარბაზი მზად არის, უმასპინძლოს ნებისმიერ უმაღლესი დონის ვარსკვლავსა თუ შოუ-პროგრამას“, — აღნიშნა პრემიერმა.

რჩეულიშვილთა ნიანგის ცრემლები

პროკურატურის განცხადება:

„მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, გვსურს, საზოგადოებას ვაცნობოთ, რომ საქართველოს პროკურატურამ შუამდგომლობით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ დამფუძნებელ მაია რჩეულიშვილის, ამავე ჯგუფის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩეულიშვილის, შპს „ცენტრ პოინტი აჭარას“ დირექტორების ირაკლი მინდელის და სალომე ჩარკვიანის დაკავების შესახებ.

ბრალდების მხარემ შუამდგომლობა კანონით გათვალისწინებულ სხვა საფუძვლებთან ერთად დაასაბუთა იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ ბრალდებული მაია რჩეულიშვილი და მასთან დაკავშირებული პირები მენაშენეებს მოუწოდებენ, რომ საგამოძიებო ორგანოს მიაწოდონ ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოსდა მათი კანონიერი ინტერესები დაკმაყოფილებულია და არანაირი სახის პრეტენზია არ გააჩნიათ, რითაც ცდილობენ გამოძიების შეცდომაში შეყვანას. ასევე მოწმეთა ჩვენებით დგინდება, რომ მაია რჩეულიშვილი და შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ სხვა წარმომადგენლები კვლავაც დამატებით ითხოვენ თანხებს მენაშენეებისაგან, რამაც კვლავაც შეიძლება დააზარალოს ისინი; ამავდროულად, მენაშენეებისაგან დამატებით მოზიდულ თანხებს ასევე ეუფლებიან შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფი“-ს დამფუძნებლები და მათთან დაკავშირებული პირები. თბილისის საქალაქო სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე დიდი ოდენობით, ჯგუფურად სხვისი ქონების გაფლანგვის ბრალდებით 2016 წლის 10 ივლისს ბრალდებულად დაკავებული იქნა სალომე ჩარკვიანი და ირაკლი მინდელი, ხოლო გურამ რჩეულიშვილის დაკავება ამ დრომდე ვერ მოხდა, რადგან იგი ემალება გამოძიებას. რაც შეეხება მაია რჩეულიშვილს, სასამართლომ მისი დაკავების შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, რის გამოც მის მიმართ დაკავების გარეშე დაიწყო სისხლისსამართლებრივი დევნა.

ვინაიდან გურამ რჩეულიშვილი თავს არიდებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებას, მის მიმართ დაუსწრებლად გამოტანილია დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ. კანონმდებლობით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მის მიმართ გამოცხადდება ძებნა.

ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ მრავალფუნქციური სამშენებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით მაია რჩეულიშვილის და რუსუდან კერვალიშვილის მიერ დაფუძნდა კომპანია „ცენტრ პოინტი ჯგუფი“.

იხ. 2 გვ.

დავით ნარმანია: გამხმარი ხეების ჩანაცვლება უახლოეს პერიოდში დაიწყება

ვაკე-საბურთალოს დამაკავშირებელ გზაზე, ახლად დარგული ხეების გახმობის საკითხს თბილისის მერი გამოეხმაურა. **დავით ნარმანიას განცხადებით, გამხმარი ხეების ჩანაცვლება უახლოეს პერიოდში დაიწყება.**

„როცა ხეების დარგვა ხდება, იქიდან გარკვეული რაოდენობა, ბუნებრივია, ხმება, თუმცა მათი ჩანაცვლება ხდება მას შემდეგ, რაც ახალი სეზონი დადგება შემოდგომაზე. ის მცირე რაოდენობა, რაც გახმა, აუცილებლად ჩანაცვლდება, თუმცა თქვენ ხედავთ, რომ აბსოლუტური უმეტესობა არის გახარებული. იქ, სადაც ჩასანაცვლებელი იქნება, აუცილებლად ჩანაცვლდება“, — განაცხადა ნარმანიამ.

ვარშავის სამიტის დროს პოლონეთის საჰაერო სივრცე ოთხჯერ დაირღვა

პოლონეთის თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ვარშავის სამიტის დროს, პოლონეთის საჰაერო სივრცე ოთხჯერ **დაირღვა.** მინისტრი ანტონ მაცერევიჩი ამბობს, რომ უპილოტო საფრენი აპარატები ვარშავის საჰაერო სივრცეში დაფიქსირდა, მიუხედავად იმისა, რომ ვარშავის ცაში სამოქალაქო ფრენების განხორციელება ოთხი დღის განმავლობაში აკრძალული იყო.

პოლონეთის თავდაცვის მინისტრის ინფორმაციით, მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს გამოძიება, საფრენ აპარატებს ამჟამად, სპეცსამსახურები სწავლობენ.

პრეზიდენტს შვილიშვილი შეეძინა!

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბაბუა გახდა. ამის შესახებ ინფორმაცია გიორგი მარგველაშვილმა საკუთარ „ფეისბუქის“ გვერდზე გაავრცელა.

„ერთი საათის წინ შემეძინა შვილიშვილი! უზომოდ ბედნიერი ვარ! ჩემს პატარა გოგონას ვუსურვებ ჯანმრთელობას და ერთიან საქართველოში ცხოვრებას!“, — წერს საქართველოს პრეზიდენტი.

პროკურატურის განცხადება

(პირველი გვერდიდან)

პრესასა თუ მედიაში გასული რეკლამების შესაბამისად აღნიშნული ჯგუფის მიზანს დაბალი ფასითა და მაღალი ხარისხით მრავალი საცხოვრებელი ბინის აშენება წარმოადგენდა, შედეგად მრავალმა მოქალაქემ მიმართა „ცენტრ პოინტ ჯგუფს“, ჯერ კიდევ არაშენებული ბინების შეძენის სურვილით.

შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ ფილიალის შპს „ცენტრ პოინტი აჭარა“ დირექტორებს წარმოადგენდნენ: 2004 წლის 23 ივლისიდან — 2006 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდში სალომე ჩარკვიანი, ხოლო 2006 წლის 28 ნოემბრიდან — ირაკლი მინდელი. დირექტორები დანაშაულებრივ კავშირში იყვნენ შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ დამფუძნებელ პარტნიორთან მაია რჩეულიშვილთან და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარესთან გურამ რჩეულიშვილთან და მოქმედებდნენ მათი მითითებით. შპს „ცენტრ პოინტ აჭარას“ ბათუმში სამი ობიექტის მშენებლობა უნდა განეხორციელებინა, კერძოდ კი, საცხოვრებელი სახლები უნდა აშენებულიყო პუშკინისა და ბაგრატიონის ქუჩებზე, ხოლო რუსთაველის ქუჩაზე საცხოვრებელი კომპლექსი „თეთრი მაგნოლია“.

შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ მიერ გაწეული სარეკლამო კამპანიით 2005 წლის 2 მაისიდან — 2010 წლის 8 სექტემბრამდე პერიოდში მოქალაქეებისგან მოზიდულ იქნა ფულადი სახსრები 64 219 606 ლარის ოდენობით. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული თანხები უნდა მიმართულიყო მშენებლობისთვის, 2004 წლის 23 ივლისიდან 2006 წლის 28 ნოემბრამდე პერიოდში სალომე ჩარკვიანმა სალაროდან, მენაშენეთა მიერ შეტანილი თანხა 3 756 017.41 ლარის ოდენობით არამიზნობრივად გაფლანგა და თანხა არ მოხმარდა კონკრეტული ობიექტის მშენებლობას.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ ფილიალის დირექტორად ირაკლი მინდელის დანიშვნის შემდეგ, მან 2006 წლის 28 ნოემბრიდან — 2010 წლის ოქტომბრამდე პერიოდში არამიზნობრივად გაფლანგა შპს „ცენტრ პოინტ აჭარას“ მენაშენეთა მიერ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობისთვის შეტანილი თანხა 15 984 828.9 ლარის ოდენობით.

ამდენად, ერთობლიობაში მაია რჩეულიშვილმა ირაკლი მინდელთან და სალომე ჩარკვიანთან ერთად გაფლანგა მენაშენეთა კუთვნილი ფულადი თანხა 19 740 845 ლარი.

გარდა ამისა, ირაკლი მინდელი შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გურამ რჩეულიშვილთან ერთად 2009 წლის 7 ივლისიდან 2010 წლის 30 მარტამდე პერიოდში დაეუფლა მენაშენეთა კუთვნილ დიდი ოდენობით თანხას 1 657 959,39 ლარის ოდენობით, რაც მათ ერთობლივად მიითვისეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „ცენტრ პოინტ აჭარამ“ არ უზრუნველყო ობიექტების მშენებლობა პუშკინის და ბაგრატიონის ქუჩაზე, არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები საცხოვრებელი კომპლექსის „თეთრი მაგნოლიის“ მენაშენეების მიმართ, რის გამოც მოქალაქეებმა განიცადეს დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

მაია რჩეულიშვილის, ირაკლი მინდელის, სალომე ჩარკვიანის და გურამ რჩეულიშვილის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაწყებულია საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ და მესამე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით, რაც სასჯელის სახედ და ზომად თავისუფლების აღკვეთას შვიდიდან თერთმეტ წლამდე ვადით ითვალისწინებს“, — აღნიშნულია განცხადებაში.

რჩეულიშვილთა ნიანგის ცრემლები

ცხოვრობდნენ, როგორც მილიონერები, მენაშენეებისგან კი კვლავაც ითხოვდნენ დამატებით თანხებს!

გუშინ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე ცნობილი გახდა, რომ საგამოძიებო ორგანომ სასამართლოს მიმართა მაია რჩეულიშვილის დაკავების შუამდგომლობით, თუმცა, სასამართლომ სარჩელი არ დააკმაყოფილა.

საქმე ეხება სამშენებლო კომპანია „ცენტრ პოინტს“, რომელსაც მილიონობით ლარის გაფლანგვას ედავებიან დაზარალებულები. თუმცა, ერთი კარგი შენიშვნისა არ იყოს, გაფლანგვა ის არის, როცა „გამფლანგველიც“ უგროშოდ რჩება, ხოლო ამ შემთხვევაში საქმე უფრო მითვისებასთან გვაქვს, რადგან რჩეულიშვილებს გაკოტრებისა არა ეტყობათ რა... როგორც ჩანს, რჩეულიშვილებმა არათუ კონტრაქტორების, არამედ სახელმწიფოს გაცუცურაკებაც სცადეს, მაგრამ არ გამოუვიდათ...

დევნილთა და განსახლების მინისტრი სოზარ სუბარი აცხადებს: **„რჩეულიშვილმა გადაწყვიტა, რომ მის მიერ მოტყუებული ათასობით მოქალაქისთვის დევნილებიც მიემატებინა, რასაც, ბუნებრივია, ვერ დავუშვებდით. ჩვენ გამოვაცხადეთ მენაშენეთა კონკურსი, რომელსაც ორი მიზანი ჰქონდა. პირველი და უმთავრესი გახლდათ დევნილების ბინებით დაკმაყოფილება, მაგრამ ასევე მნიშვნელოვანი იყო, წლების წინათ გაჩერებული მშენებლობების დამთავრებისთვის შეგვეწყო ხელი, რითაც სხვა მოქალაქეების პრობლემებიც გადაიჭრებოდა. რჩეულიშვილმა ორჯერ მიიღო მონაწილეობა ამ კონკურსში — პირველ ჯერზე მან უბრალოდ ვერ წარმოადგინა საბანკო გარანტია, ამიტომ ბუნებრივია, სახელმწიფო ფულს ვერ გადაურიცხავდა. ვერც მეორე შემთხვევაში წარმოადგინა დაზუსტებული დოკუმენტაცია, რომ ეს ფართები ნამდვილად მისი საკუთრება იყო, სად გადიოდა შენობის საზღვრები და სხვა. მან მაინც გაასაჩივრა და საბოლოოდ, სასამართლო წააგო“.**

როგორც ჩანს, რჩეულიშვილი კონკურსებს ჯიუტად არ ეშვებოდა და 5 სხვადასხვა ობიექტით შევიდა. მათ შორის ერთ-ერთმა მოწონება დაიმსახურა, რადგან საუბარი იყო დიდ დიღომში აშენებულ, პრაქტიკულად მზა ობიექტზე. მაგრამ როცა საქმე საქმეზე მიდგა, პირი იცვალა. **„აქ ბინები ისედაც კარგად იყიდება და ამას ვერ მოგყიდითო, გვერდით ვაპირებთ მსგავსი კორპუსის აშენებას და იმას მოგცემთო. იმ ვადებში, რა ვადებშიც შეთანხმება იყო, არა თუ იმ ბინების დამთავრების, საძირკვლის ამოღებასაც ვერ მოასწრებდნენ. ეს იყო მორიგი მცდელობა, რომ კიდევ ერთხელ მოეტყუებინათ ამჯერად, სახელმწიფო და დევნილები“,** — ამბობს სოზარ სუბარი.

მინისტრის განცხადებით, იმის ნაცვლად, რომ ამ წლების განმავლობაში ეზრუნა მოტყუებული მოქალაქეების დაკმაყოფილებაზე, ცხოვრობდა როგორც მილიონერი და არაფერს იკლებდა. ამიტომაც იყო, რომ პროკურატურაში მისულ რჩეულიშვილებს „ცენტრ პოინტის“ მიერ დაზარალებულები აგრესიით შეხვდნენ და „თაღლითები“ უწოდეს. არც ვახტანგ რჩეულიშვილი ჩამორჩა აგრესიაში და კაი გვარიანად დაემუქრა. **„მე თქვენ გაჩვენებთ ახლა, ვინ არის დამნაშავე. თქვენი გულისთვის ვიბრძვი და თქვენ უნამუსოდ და უსინდისოდ, ოღონდ კი ფული არ გადაიხადო ბინებში, პროვოკაციებს აწყობთ. მობინადრეები კი არა, ესენი დაქირავებული „სვისტოკები“ არიან“,** — განაცხადა მან. თან სახელმწიფოც მიალანძღა: 30 მილიონს კონცერტებში რომ ხარჯავენ, მოეცათ 10 მილიონი და დამთავრებული იქნებოდა ეს საქმეო...

რჩეულიშვილები პოლიტიკურ მოტივებზე აპელირებენ და არც მალავენ, რომ ამ არჩევნებზე ნაციონალური სიით აპირებდნენ კენჭის ყრას. მაია რჩეულიშვილმა რამდენიმე თვის წინათ საჯაროდ განაცხადა, რომ ის მიშას ფანია, და რომ წარსულს მისტირის. შესაძლოა, მის პოლიტიკურ გემოვნებაზე მისმა ახალმა რძალმაც იქონია გავლენა. ლელა კილაძე, გიგი უგულავას მეორე ცოლყოფილი, გუკა რჩეულიშვილის რჩეული გახდა. ისე, კაცმა რომ თქვას, ვისაც ეს ქალი „გაეხახუნა“ ყველა ციხეში აღმოჩნდა. იქნება, ბედი მიშა სააკაშვილსაც დაუკავშიროს და ჩვენც გვეშველოს!!!

„ველოდებოდი, რომ ციხეში გამიშვებდნენ... ახლა ველოდები, რომ გუკა ნამდვილად წავა. მე ასეთი დევნა არ მინახავს. ეს ყველაფერი პოლიტიკურია“, — აღნიშნა შეცბუნებულმა მაია რჩეულიშვილმა. „ცენტრ-პოინტის“ ბათუმის საინვესტიციო პროექტის ხელმძღვანელი ირაკლი მინდელი და გაყიდვების მენეჯერი სალომე ჩარკვიანი უკვე დააკავეს. სადავოა ბათუმში დამთავრებული ობიექტი „მაგნოლია“. პროკურატურის განცხადებით, **„ბრალდებული მაია რჩეულიშვილი და მასთან დაკავშირებული პირები მენაშენეებს მოუწოდებენ, რომ საგამოძიებო ორგანოს მიაწოდონ ცრუ ინფორმაცია, რომ თითქოსდა, მათი კანონიერი ინტერესები დაკმაყოფილებულია და პრეტენზიები არ გააჩნიათ, რითაც გამოძიების შეცდომაში შეყვანას ცდილობენ. მოწმეთა ჩვენებით დგინდება, რომ მაია რჩეულიშვილი და შპს „ცენტრ პოინტის“ სხვა წარმომადგენლები მენაშენეებისგან კვლავაც ითხოვენ დამატებით თანხებს და მოზიდულ თანხებს ეუფლებიან „ცენტრ პოინტის“ დამფუძნებლები“.**

როგორც ცნობილია, პროკურატურამ ჯერ კიდევ 2013 წელს წაუყენა ბრალი მაია რჩეულიშვილს. საქმე ეხებოდა ამხანაგობა „თაბუკაშვილი 88“ წევრების მიერ შეტანილი დიდი ოდენობით თანხების უკანონო დასაკუთრებას სხვადასხვა დანაშაულებრივი სქემით. ამჯერად „მაგნოლიას“ გარშემო 20 მილიონ ლარზე მეტის გაფლანგვა-მითვისებაზეა საუბარი.

საზოგადოებისთვის რჩეულიშვილებისა და მენაშენეების დავის შესახებ დიდი ხანია ცნობილია. ასე რომ, ბევრი მიიჩნევს, რომ ეს არა წინასაარჩევნო „შავი პიარი“, არამედ დაგვიანებული სამართლიანობის აღდგენაა, რომელიც საარჩევნო მეოთხე წლის მიწურულს მაინც უნდა დაწყებულიყო. რჩეულიშვილების ნიანგის ცრემლებისა უკვე აღარავის სჯერა, ვიდრე თუნდაც ერთი მოტყუებულ-დაზარალებული მენაშენე მაინც იარსებებს.

თეა მოსია

ვახტანგ რჩეულიშვილი: მშენებლობების დასამთავრებელ თანხას არ გვაძლევს ხელისუფლება!

სამშენებლო კომპანია ცენტრ პოინტის ერთ-ერთი დამფუძნებლის ვახტანგ რცეულიშვილის განცხადებით, სახეზეა გამოძალვა სახელმწიფოს მონაწილეობით, რათა საკუთარი მადა დაიკმაყოფილონ.

ამის შესახებ რჩეულიშვილმა თბილისის პროკურატურაში მაია რჩეულიშვისთვის ბრალის წაყენების შემდეგ განაცხადა.

„მე ამ ადამიანების მესმის, მაგრამ მთავარი არის ის, რომ ჩვენ გვაქვს მშენებლობების დასამთავრებელი ფული და ამ თანხას არ გვაძლევს ხელისუფლება, კერძოდ, ფინანსთა სამინისტრო. ყველა ბინა მზადაა. ვინც დღეს აქ იყვნენ შეკრებილები, არ არიან დაზარალებულები. მე მაქვს კითხვა, რატომ მიშლიან ხელს ამ ხალხის გასტუმრებაში? მიშინებენ ინვესტორებს ამ პროვოკაციებით. აქ არის გამოძალვა სახელმწიფოს მონაწილეობით საკუთარი მადის დასაკმაყოფილებლად. ეს ხალხი დაკმაყოფილდება, თუ ჩვენ ხელისუფლებამ მუშაობაში ხელი არ შეგვიშალა.ჩვენ მთავრობას ვუთხარით, ის 10 მილიონი, რომელიც სჭირდება დამთავრებას თქვენ გაქვთ ჩვენი, მოგვეცით ვალად მაინც- ეს არის მიღებული პრაქტიკა, სააკაშვილმა 7 მილიონი ასე დაგვიბრუნა და ასე ავაშენთ „მაგნოლია“. არ მოგვცეს და მოაწყვეს ეს“, — განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

რჩეულიშვილი პროვოკაციების მოწყობაში სააკაძის ქუჩაზე, ერთ-ერთ ობიექტზე მცხოვრებ პირს ადანაშაულებს.

„კრიხელს და მის ჯგუფს უნდათ, ნახევარ ფასად ჩაიგდონ მშენებლობა. ეს „სვისტოკები“ მათი ნაყიდია, უნდათ ცენტრ პოინტის ქონების გადანაწილება, მაგრამ ვერ მიიღებენ“, — განაცხადა ვახტანგ რჩეულიშვილმა.

აფხაზეთის ჩაფლავებული „რეფერენდუმი“

აფხაზეთის **თვითმარქვია „სახელმწიფომ“ მორიგი რეკორდი დაამყარა: ე.წ. „რეფერენდუმზე“, რომელიც თავისთავად უნიკალური მოვლენა იყო, რაკი რიგგარეშე არჩევნების ჩატარება-არჩატარებას (ანუ მოქმედი ხელისუფლების ნდობა-უნდობლობას) ეხებოდა, ამომრჩეველთა სულ 0,99% გამოცხადდა.**

ახლა კი წელავენ ამ ციფრს და ამტკიცებენ: „არა, 1% მაინც მოვიდაო“. თუმცა ამით საქმეს არაფერი ეშველება: დადასტურდა, რომ აფხაზეთი არა დამოუკიდებელი სახელმწიფო, არამედ ნამდვილი „ბანანის (პალმების) რესპუბლიკაა“, რომელიც მთლიანად, ასი პროცენტით რუსულ დახმარებას ეყრდნობა და მეტს არაფერს. საკმარისია მოსკოვმა მოინდომოს და ეს „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ უმალ გადაეშვება სისხლიანი ანარქიის ჭაობში.

სხვათა შორის, ამის დადასტურება ძალიან „სასარგებლოა“ ზოგიერთი ჩვენი პარტნიორი ქვეყნისთვის (რუსეთს არ ვგულისხმობ, რასაკვირველია), რომელიც ბოლო დროს საეჭვოდ „უქიცინებს კუდს“ აფხაზ სეპარატისტებს. ერთ-ერთ მაგალითად საკმარისია გავიხსენოთ ორი გულდაგულ მიჩქმალული ფაქტი: იაპონიის სავაჭრო-სამრეწველო პალატის ოფიციალური დელეგაციის ვიზიტი აფხაზეთში და შემთხვევა, რომელიც ჟენევის დისკუსიათა ერთ-ერთი რაუნდის წინ მოხდა და ქართული დიპლომატია გაფაციცებით გვიმალავს: მაშინ ქართველმა დიპლომატებმა, რაღაც პროტესტის ნიშნად, „შესაძლო ბოიკოტზე“ მიანიშნეს, მაგრამ, მათდა გასაკვირად, აღმოჩნდა, რომ ამ ბოიკოტის (ესე იგი შეხვედრის გადადების) იდეას არა მხოლოდ რუსები, არამედ ხსენებული „პარტნიორებიც“ არ იზიარებდნენ: „თქვენ თუ არ ჩამოხვალთ, შეხვედრა მაინც გაიმართება და ჩვენ აუცილებლად მივიღებთ მონაწილეობას თქვენს გარეშეცო“.

არის სხვა საეჭვო ნიშნებიც. მათ შორის საინფორმაციო სფეროში.

ანუ „1%-იანი რეფერენდუმი“ და ის ყოველივე, რაც ამ „რეფერენდუმს“ წინ უძღოდა, „კუდის მოქიცინეთათვის“ იმის დადასტურება იქნება, რამდენად ბუტაფორიულია ეს წარმონაქმნი — „აფხაზეთის სახელმწიფო“ — და რამდენადაა იგი დამოკიდებული კრემლის ნება სურვილზე, ანუ, რეალურად, სულაც არაა დამოუკიდებელი: აფხაზ სეპარატისტებთან სოციალურ ქსელებში დისკუსიისას ხშირად მოისმენ და წაიკითხავ: „სერიოზული სახელმწიფოები ჩვენს დამოუკიდებლობას არ სცნობენ, რაკი ამერიკა უკრძალავთო“. სინამდვილეში, სიღრმისეული მიზეზი (ამას ვერაფრით აღიარებინებ) ისაა, რომ **საქართველოსგან დამოუკიდებლობა** სულაც არ ნიშნავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას, როგორც ასეთს.

ხოლო „რეფერენდუმით“ დადასტურდა, რომ არ ნიშნავს არც სტაბილურ სახელმწიფოებრიობას! აბა სად გაგონილა, დემოკრატიულ ქვეყანაში რეფერენდუმი ტარდებოდეს მოქმედი ხელისუფლების ნდობა-არნდობის საკითხზე? მაშინ არჩევნები რისთვისღაა?

ამ „რეფერენდუმს“ წინ უძღოდა მოვლენები აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობის წინ: ასეულობით ადამიანმა ჭიშკარი შეამტვრია, ეზოში შეიჭრა და მინისტრ ძიაპშპას გადადგომა მოითხოვა; პრეზიდენტმა ხაჯიმბამ ის დაუყოვნებლივ გადააყენა. წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე მას შეუვარდებოდნენ და ცხვირ-პირს დაამტვრევდნენ.

დემონსტრანტები ასევე მოითხოვდნენ რეფერენდუმის გადატანას შემოდგომისთვის, რაკი ხელისუფლებას გაყალბების მცდელობაში ადანაშაულებდნენ. თავისთავად, ეს მოთხოვნაც აბსურდული იყო, რადგან თუ შემოდგომაზე უნდოდათ კენჭისყრის გამართვა, განაცხადი ივლისში უნდა შეეტანათ და არა აპრილში. აფხაზური კანონის თანახმად კი, კენჭისყრა ინიშნება სამი თვის თავზე. ჰოდა დანიშნეს კიდეც, რაკი სხვა გზა არ ჰქონდათ. თუმცა, ოპოზიციას ივლისში გარდაუვალი დამარცხება არ სურდა, ამიტომ ეს საბაბი მოიგონა: „შინაგან საქმეთა მინისტრი გაყალბებას აპირებსო“.

სამინისტროსთან დაპირისპირება უფრო სერიოზულ თავპირისმტვრევაში და სროლაში მხოლოდ იმიტომ არ გადაიზარდა, რომ „პრეზიდენტმა ხაჯიმბამ“ შინაგან საქმეთა მინისტრს უფლებამოსილება შეუჩერა. თუმცა, სისხლი მაინც დაიღვარა: უკვე ამ მოვლენების შემდეგ, სოხუმის ცენტრში რამდენიმე ადამიანი დაიჭრა სროლის შედეგად. ზოგიერთი ცნობით, ერთი მათგანი გარდაიცვალა კიდეც; თუმცა ამ ფაქტს აფხაზური და რუსული მედია გულდაგულ ჩქმალავს.

„პრეზიდენტმა ხაჯიმბამ“ კი, ამ დაპირისპირების შემდეგ გაავრცელა უტიფარი განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ (თურმე) „დაუშვებელია ქუჩიდან ხელისუფლების შეცვლა“. თითქოს თვითონ ამ გზით არ მოვიდა მას შემდეგ, რაც 2014 წელს, სწორედ ქუჩიდან ზეწოლით და ძალადობის მუქარით, აიძულა წინამორბედი პრეზიდენტი ანქვაბი სოხუმიდან გაქცეულიყო.

ძალიან საინტერესოა, აგრეთვე, თუ რა გახდა მაშინ ამ „საზოგადოებრივი მძვინვარების“ მთავარი საბაბი: **„გალში მცხოვრებ ქართველებს ადამიანებად რატომ თვლით, იქ ქართული სკოლები რატომ ფუნქციონირებს, ქართველებს არჩევნებში მონაწილეობის უფლება რატომ აქვთ და რატომ არ აკეთებთ ყველაფერს გალიდან ქართველების გასაძევებლად ან მათი იძულებითი ასიმილაციისთვისო“,** რაც, სხვათა შორის, საერთაშორისო სამართლით გენოციდის ფორმაა, რადგან გენოციდად ითვლება არა მხოლოდ ფიზიკური განადგურება, არამედ იდენტობის იძულებითი შეცვლა.

ხაჯიმბამ, ამ მხრივ, თავის ხალხს დაპირება პირნათლად შეუსრულა: ქართული სკოლები დახურა და მოსახლეობა დაატერორა. თანაც, იმ ვითარებაში, როდესაც გალში მცხოვრებ ქართველ **ეზუგბაიას** საქართველოს ხელისუფლება (პაატა ზაქარეიშვილი) უფასოდ მკურნალობაზე უარს ეუბნებოდა: შენ ხომ ქართველი ხარ? აი, **ეზუღბა** რომ იყო, სხვა საქმე იქნებოდა — მაშინ უფასოდ გიმკურნალებდითო. და, ამის შემდეგ, საქართველოში ვინმეს კიდევ ენა მოუტრიალდება ის **ეზუგბაია** რაიმეში დაადანაშაულოს, თუკი გვარს **ეზუღბად** გადაიკეთებს და აფხაზად „ჩაეწერება?“

საერთოდ, „უმოკლეს ვადებში გადასაყენებლად“ გამზადებული რესპუბლიკელი მინისტრებიდან, ყველაზე წარმატებულად ტრაგი-კომიკური სწორედ პაატა ზაქარეიშვილის ფიგურაა, რომელიც, როგორც ჩანს, თავად ვერ აცნობიერებს, როგორ იქცა ტერმინ „ჩაფლავების“ ილუსტრაციად. განსაკუთრებით გიგი ოთხოზორიას მკვლელობისა და მისი მკვლელისთვის შინაპატიმრობის(!) მისჯის შედეგად.

საერთოდ, „უმოკლეს ვადებში გადასაყენებლად“ გამზადებული რესპუბლიკელი მინისტრებიდან, ყველაზე წარმატებულად ტრაგი-კომიკური სწორედ პაატა ზაქარეიშვილის ფიგურაა, რომელიც, როგორც ჩანს, თავად ვერ აცნობიერებს, როგორ იქცა ტერმინ „ჩაფლავების“ ილუსტრაციად. განსაკუთრებით გიგი ოთხოზორიას მკვლელობისა და მისი მკვლელისთვის შინაპატიმრობის (!) მისჯის შედეგად.

ერთადერთი, რაც 21 მაისის საზარელი მკვლელობის და სეპარატისტ-ნაცისტთა ცინიკური რეაქციის (შინაპატიმრობა!) პასუხად თეორიულად საქართველოს შეეძლო, ჟენევის დისკუსიათა ბოიკოტირება, მაგრამ ქართული დიპლომატია ამასაც ვერ ახერხებს ზემოხსენებული მიზეზის გამო: მეგობრები და პარტნიორები ეუბნებიან — „თქვენ თუ არ ჩამოხვალთ ჟენევაში, ჩვენ მაინც ჩავალთ და აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ჩირიკბას უთქვენოდაც დაველაპარაკებითო“.

თუმცა, ყველაზე მთავარი მაინც ის სიღრმისეული მიზეზია, რამაც მთელი ეს აჟიოტაჟი და დაპირისპირება გამოიწვია: ხაჯიმბამ არ შეუსრულა მოსკოვს მთავარი დაპირება და არ მიიღო კანონი ბინების ყიდვა-გაყიდვის შესახებ, ანუ, იგულისხმება, რუსებზე გაყიდვისა, თორემ თურქი აფხაზები (იგივე გიგას მკვლელი ყანჯი ოღლი, ვისაც სულ ტყუილად აცხადებენ „ლაზად“), რაკი აფხაზური პასპორტები აქვთ, თავისუფლად ყიდულობენ ბინებს.

მოსკოვში ამ პროცესს აკვირდებიან და ძალიან არ მოსწონთ, რაკი აფხაზეთი რუსებისთვის უნდათ და არა აფხაზებისთვის; მით უმეტეს თურქებისთვის.

ამიტომ, პუტინმა სეპარატისტულ რეჟიმს ერთი მესამედით (!) შეუმცირა დაფინანსება. და ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა ასეთი რეაქცია, რაც მოჰყვა! ძნელი წარმოსადგენი არ არის, რა ამბავი დატრიალდება აფხაზეთში, თუ მოსკოვი ზეწოლის სხვა ბერკეტებსაც აამოქმედებს: დაფინანსებას საერთოდ შეწყვეტს და ფსოუზე საზღვარს ჩაკეტავს.

თუ მოსკოვი ამას დღემდე არ აკეთებს, არ აკეთებს ერთადერთი მიზეზით: მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ სეპარატისტებს აქ (თბილისში) ჰყავთ ისეთი „სასარგებლო გენიოსი“, როგორიც ზაქარეიშვილია, რომელიც მაშინვე გამოვარდება და იტყვის: „ძმებო, ჩვენ გაგიხსნით საზღვარს არაფრის სანაცვლოდ (თუნდაც ქართული სკოლების აღდგენისა) და ავიარეისსაც დაგინიშნავთ, რათა, ყანჯი ოღლის მაგვარმა კეთილშობილმა ადამიანებმა თურქეთიდან იოლად ჩამოაღწიონ აფხაზეთში“.

ისევე, როგორც ჩამოაღწიეს ფეხბურთში „მსოფლიოს ალტერნატიული ჩემპიონატის“ მონაწილეებმა, რომელთა დიდი ნაწილი, როგორც ახლა ირკვევა, სწორედ ზუგდიდიდან გადავიდა აფხაზეთში, რაკი რუსებმა სოჭიდან არ შეუშვეს.

მიხეილ გეწაძე

აფხაზები და ოსები დავარწმუნეთ, რომ „ქართული ოცნება“ ძალადობის გზას მიზნის მიღწევის საშუალებად არ აღიარებს!

საპარლამენტო **უმრავლესობის წევრის ზაქარია ქუცნაშვილის შეფასებით, ვარშავის სამიტის კომუნიკე ცალსახად ევროპის უსაფრთხოების განმტკიცებისკენ არის მიმართული.**

როგორც ზაქარია ქუცნაშვილმა „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, თავად ის გადაწყვეტილება, რომ პოლონეთში, ბალტიის ქვეყნებში, ასევე შავი ზღვის რეგიონში მიღებული იქნება დამატებითი, მათ შორის, სამხედრო ხაზის ზომები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ნიშნავს იმას, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსი რეალურად ზრუნავს მისი წევრი ქვეყნების უსაფრთხოებაზე.

„ვარშავის სამიტის გადაწყვეტილება ქმედითია თავისი შინაარსით და ის ამტკიცებს აღნიშნული ქვეყნების უსაფრთხოებას. ვფიქრობ, გზავნილები, რომ საქართველო გახდება ნატოს წევრი კიდევ უფრო მყარდება. ჯონ ქერის ვიზიტი საქართველოში და თავდაცვითი შეიარაღების შესყიდვის უფლების მემორანდუმით განმტკიცება ადასტურებს ნატოს წამყვანი ქვეყნის პოზიციას საქართველოს თავდაცვის უნარიანობის ამაღლებასთან დაკავშირებით.

საქართველო დაინტერესებულია თავდაცვისუნარიანობის ამაღლებით.

მოგეხსენებათ, სომხეთს და აზერბაიჯანს გააჩნია ჰაერსაწინააღმდეგო სისტემა და საქართველოსაც სჭირდება იგივე სისტემა, ისევე როგორც სხვა სისტემები, რომელიც უფრო დაცულს გახდის ქვეყნის დედაქალაქს, როგორც დღეს არის ბაქო და ერევანი“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

პარლამენტარი ასევე დადებითად აფასებს ამერიკელი ექსპერტების მოწოდებას, დასავლური პოლიტიკის უფრო ქმედით პოლიტიკად გადაქცევისკენ.

„დღეს ფაქტობრივად, ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები ხალხი არის არსებული ოკუპირებული რეჟიმების მძევალი. მათ სხვა არჩევანის საშუალება არა აქვთ, არსებულ რეჟიმთან თანამშრომლობის გარდა. ჩვენ შევძელით, რომ ამ წლებში გაგვექარწყლებინა ძალადობით და ომით პრობლემების გადაჭრის ალბათობა. აფხაზები და ოსები დავარწმუნეთ, რომ „ქართული ოცნება“ ძალადობის გზას მიზნის მიღწევის საშუალებად არ აღიარებს. საოკუპაციო რეჟიმი ხელს გვიშლის უფრო შორს წასვლაში, ეს იქნება ჰუმანიტარული თუ სხვა ტიპის ურთიერთობები. ვფიქრობ, დღევანდელი პოლიტიკა გრძელვადიანი თვალსაზრისით არის სწორი, დღეს საქართველო ერთადერთი ქვეყანაა რეგიონში, რომელსაც ნორმალური ურთიერთობები აქვს ყველასთან, გარდა ოკუპანტი ქვეყნისა“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

◎ ბარაქიანი კახეთიცა, კაცო, კახეთიცა!!!

რატომ იცლება სოფელი?

კახეთში სოფლების ხალხისგან დაცლა განსაკუთრებით „პატარა“ დასახლებებშია თვალშისაცემი — იქ, სადაც 500 და უფრო ნაკლები კომლი ცხოვრობს.

კახეთს პატარა სოფელი ბევრი აქვს. უმეტესი მათგანი ბარში მდებარეობს — **იქ, სადაც, ერთი შეხედვით, ყველაფერია, რომ ოჯახმა სოფლისთვის შესაფერისად იცხოვროს, თუმცა, სულ უფრო ხშირად ვხედავთ სახლებს, რომლებიც მოუვლელობისა და უყურადღებობისგან გაპარტახებულია. რატომ იცლება სოფელი?** — ეს შეკითხვა ჩვენ თავად სოფლის მოსახლეობას დავუსვით:

„ყველაზე დიდი პრობლემა სამსახურებია. ერთი ორ თავ ყველს გამოვიტანთ ხოლმე, რომ პურის ფული მაინც გვქონდეს. ყველანაირად გვიჭირს. გაუსაძლისია ცხოვრება!“

„წლები გადის და ორი სოფლის დამაკავშირებელი გზა ვერ გააკეთეს, რომელ განვითარებაზეა ლაპარაკი?! მხოლოდ გზას ვინ ჩივის, არ გვაქვს წყალი და ბუნებრივი აირი“.

სოფელში მცხოვრებ ერთ ჩვეულებრივ ოჯახს 1 ჰა და 25 მეასედი მიწის ნაკვეთი აქვს. შესაბამისად, მისი წლიური შემოსავალიც იმაზეა დამოკიდებული, რას მოიყვანს ამ ნაკვეთში, რამდენს და რა ფასად გაყიდის. მაგალითად, ლაგოდეხის ტერიტორიაზე მოსახლეობის დიდ ნაწილს ძირითადად სიმინდი და საზამთრო მოჰყავს. უფრო ნაკლებს — კიტრი და პომიდორი, შემდეგ მოდის სხვა ბოსტნეული კულტურა. ზოგჯერ მოსავალი კარგი მოდის, მაგრამ ფასი არ აქვს, ზოგჯერ პირიქითაა. ასეა სიმინდის შემთხვევაშიც. 2015 წელს მოყვანილი სიმინდი გლეხების დიდ ნაწილს ჯერ ისევ გასაყიდი აქვს, რადგან მას ახლა ისეთი ფასი აქვს, რომ გლეხი ხარჯებს კი დაფარავს, მაგრამ მოგებას ვერ ნახავს. სოფლის მეურნეობით იმედგაცრუებული მოსახლეობის ნაწილმა უკვე გადაწყვიტა და სოფელი დატოვა. ისინი საცხოვრებლად ქალაქში გადავიდნენ.

„ჩემი აზრით, ძალიან მარტივი გასაკეთებელია: ააშენე ფაბრიკა-ქარხნები და დაასაქმე ადამიანები — ისე, როგორც ჩვენი მშობლები ცხოვრობდნენ. წარმოება თუ არ იქნა, ყოველთვის რთული იქნება არსებობა“.

სოფლებს მხოლოდ ამ მიზეზით არ ტოვებენ. ხშირად საბაბი ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების უქონლობაა. მაგალითად, კახეთში ერთი მუნიციპალიტეტიც კი არ არსებობს, სადაც წყლის მიწოდების და ხარისხის პრობლემა იყოს მოგვარებული. ასეა გზებთან დაკავშირებითაც. არადა, სოფლებში ამ პრობლემების მოგვარებისთვის მილიონობით ლარია დახარჯული. მაგალითად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ მაწიმში ბოლო 5 წლის განმავლობაში 700-კომლიანი სოფლის წყლით მომარაგებაზე 300 ათას ლარამდეა გახარჯული, პრობლემა კი დღემდე არსებობს. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე გოდერძი ბარბაქაძე ამბობს, რომ შიდა მიგრაცია არის, თუმცა, არა მასშტაბური და საგანგაშო.

„მოსახლეობა თვლის, რომ ქალაქში სამსახურის შოვნის ალბათობა მეტია და ამიტომ სოფლიდან ძირითადად ახალგაზრდები მიდიან, მაგრამ, როგორც მე ვიცი, ამას მასობრივი სახე არა აქვს“.

საკრებულოს თავმჯდომარისგან განსხვავებით, სოფლების ხალხისგან დაცლა შეამჩნია ლაგოდეხის მაჟორიტარმა დეპუტატმა გიორგი გოზალიშვილმა: **„სოფლების დაცლა ძალიან შესამჩნევია. მაგალითად, სოფელ აფენში რომ გაიარო, ალბათ, 100 სახლიდან 20-25 დაკეტილია. ხალხისგან დაცლა პატარა სოფლებს უფრო ეტყობა. გლეხი ძირითად შემოსავალს შემოდგომაზე ელოდება და სხვა დროს მას ყოველდღიური ფული უჭირს. სოფლებიდან ქალაქში მიდიან, რადგან ვაჭრობა მეტად არის განვითარებული. დღიურ სამუშაოს იქ უფრო პოულობენ“.**

როგორც ცნობილია, საქართველოში საყოველთაო აღწერა ბოლოს 2014 წელს ჩატარდა, მაგრამ საბოლოო მონაცემები, სად რამდენი ადამიანი ცხოვრობს, არ არის გამოქვეყნებული, თუმცა კვლევების ნაწილი უკვე საჯაროა: **საქსტატის მონაცემებით დგინდება, რომ კახეთში ბოლო 12 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა თითქმის 89 ათასით შემცირდა.** კახელები საცხოვრებელ ადგილად ხშირად დედაქალაქს ირჩევენ. ადგილობრივები ფიქრობენ, რომ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი რეგიონში არსებული ეკონომიკური მდგომარეობაა.

გიორგი ალადაშვილი

ბოლო წლების ყველაზე დიდი მოსავალი

მსოფლიოში „მომავლის კულტურად აღიარებული „ზანდური“

წელს თავთავიანი კულტურების მოსავალმა სარეკორდო ნიშნულს მიაღწია. ყანებში ხორბალი და ქერი იმდენად ბევრი მოვიდა, რომ ფერმერები დაბინავებას ძლივს აუდიან. სოფლის მეურნეობის სამინისტრო ინფორმაციით, შარშანდელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია ნათესი ფართობები. საქართველოს მასშტაბით ხორბალი 80 000 ჰა-ზეა დათესილი, ხოლო ქერი — 40 000 ჰა-ზე.

მოსავლის შეუფერხებლად აღებისთვის აქტიურად მუშაობს შპს „მექანიზატორის“ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. თავთავიანი კულტურების მოსავლის აღებისთვის კახეთის რეგიონში 60, საქართველოს მასშტაბით კი — 86 ერთეული შპს „მექანიზატორის“ კომბაინია მობილიზებული. სამუშაოებში ჩართულია კერძო სექტორში არსებული ტექნიკაც.

„მოსავალი წინა წლებთან შედარებით, წელს თითქმის გაორმაგებულია, როგორც ნათესი ფართობები, ისე მოსავლიანობა. ჩვენთვის მნიშვნელოვანია სასურსათო უსაფრთხოების მიმართულებით ადგილობრივი წარმოების ხორბლის მაქსიმალურად მაღალი კოეფიციენტი გვქონდეს“, — აღნიშნა მინისტრმა **ოთარ დანელიამ.**

სიღნაღის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლის **ბონდო ბოღაშვილის** ინფორმაციით, წელს მარცვლეულის ხარისხის პრობლემაც არ იქნება. უხვი მოსავალი ხორბლის იმპორტის შემცირების რეალურ შესაძლებლობას იძლევა.

„ყველაფერს ვაკეთებთ, რომ უხვი მოსავლით მოსახლეობამ სარგებელი ნახოს და იმპორტზე დამოკიდებულებაც შემცირდეს. წლევანდელი მოსავალი ადგილობრივ მოხმარებას მნიშვნელოვნად დაეხმარება. შარშან მთელი ქვეყნის მასშტაბით 170 ათასი ტონა ხორბალი მივიღეთ. წელს ამაზე უკეთესი შედეგი მხოლოდ 2 რაიონის მონაცემებითაც გვაქვს. სიღნაღსა და დედოფლისწყაროში მოსავლიანობამ 180-190 ათასი ტონა შეადგინა, საუკეთესო მაჩვენებელზე გავედით“, — ამბობს ბოღაშვილი.

ბოლო წლებში ხორბლის მოსავლიანობა კი გაიზარდა, მაგრამ მუდმივად დგას მარცვლეულის ხარისხის პრობლემა. საქმე ისაა, რომ ქვეყანაში ჯიშების და სათესლე მასალის გაუმჯობესებაზე მუშაობა თითქმის არ მიმდინარეობს. ამიტომაც გლეხები ისევ ძველ თესლს იყენებენ. შესაბამისად, ხარისხის ამაღლება ვერაფრით ხერხდება.

სამწუხაროა, რომ სელექციას ამ კუთხით ყურადღება ნაკლებად ექცევა და ეს ხდება მაშინ, როდესაც გერმანელმა სელექციონერებმა უძველესი ქართული ხორბლის ჯიში „ზანდური“ იმ მარცვლოვან კულტურებს შორის დაასახელეს, რომელთა მოხმარებაც მსოფლიოში უახლოეს მომავალში აქტუალური იქნება. მასთან ერთად ამავე კონტექსტში დასახელდა სხვა ჯიშები — „პოლუპოლბა“ და „სპელტა“.

გამოცემა აღნიშნავს, რომ „ზანდურისა“ და „პოლუპოლბას“ პოპულარობის ზრდის მიზეზი გახდა მათი მაღალი მოსავლიანობა და პარაზიტებისადმი მდგრადობა, ასევე მომხმარებლების მისწრაფება, გაამრავალფეროვნონ კვების რაციონი. მეცნიერებმა გააანალიზეს ხორბლის ასობით სახეობა და 15 მათგანში აღმოაჩინეს პოტენციალი ბაზარზე გასასვლელად.

ზანდური ხორბლის უძველესი ქართული ენდემური ჯიშია. წარმოშობის კერაა რაჭა-ლეჩხუმი. მას სასელექციო მასალად იყენებენ ბევრ ქვეყანაში იმუნური ჯიშებისა და ჰიბრიდული ხორბლის შესაქმნელად. დაცულია კოლექციებში, როგორც მსოფლიო მნიშვნელობის ძვირფასი სასელექციო მასალა.

მეცნიერებათა დოქტორი **კახა ლაშხი** „კომერსანტთან“ განმარტავს, რომ ზანდურის ჯიშის ხორბალი მსოფლიოში ძალიან პოპულარულია და გენეტიკური მასალის 70%-ს შეადგენს. თუმცა, იმის შესახებ, რომ ესაა ენდემური ქართული ჯიში, ცოტამ თუ იცის. ლაშხი ამბობს, რომ საქართველოსთვის მომგებიანი იქნებოდა, მსოფლიოში ამ ხორბლის, როგორც ქართული ჯიშის პოზიციონირება მოხდეს — ზანდურის პოპულარობიდან გამომდინარე, ეს გაზრდიდა საქართველოს ცნობადობას და ქვეყნისთვის პრესტიჟული იქნებოდა.

„ეს იქნება მომგებიანი ქვეყნისთვის და ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი საკუთრება. არავიზე ნაკლებნი არ ვართ“, — განაცხადა კახა ლაშხმა.

გეძა დანელია

◎ ენერგოუსაფრთხოება

„შაჰ დენიზი 2“-ის პროექტი და საქართველო

საერთაშორისო მაგისტრალურ პროექტებს საქართველოს ენერგოუსაფრთხოებისთვის რომ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, ეს საყველთაოდ ცნობილი ამბავია. შესაბამისად, ინფორმაცია ამ პროექტების მიმდინარეობის შესახებ ყოველთვის იმსახურებს საზოგადოების ყურადღებას. ამ დღეებში ცნობილი გახდა, რომ სამხრეთკავკასიური გაზსადენის, „შაჰ დენიზი 2“-ის, პროექტის რეალიზაციის სამუშაოების თითქმის 70 % დასრულებულია. ამის შესახებ აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრმა ნატიგ ალიევმა განაცხადა. ნაგიტ ალიევის თქმით, მომავალში სამხრეთ კორიდორით გაზის ტრანსპორტირება ირანიდან, ერაყიდან, კვიპროსიდან და ისრაელიდან იქნება შესაძლებელი.

აზერბაიჯანის ენერგეტიკის მინისტრის ინფორმაციით, „შაჰ დენიზი 2“-ის ფარგლებში გაზის მოპოვება წლიურად 9 მილიარდიდან 16 მილიარდ კუბურ მეტრამდე გაიზრდება. პროექტის თანახმად, გაზის მიწოდება თურქეთისა და საქართველოს მომხმარებლებისთვის, სავარაუდოდ, 2018 წლისთვის დაიწყება. დაახლოებით, 6 მილიარდი კუბური მეტრის რაოდენობით ყოველწლიურად, ხოლო ერთი წლის შემდეგ დამატებითი 10 მილიარდი კუბური მეტრის მიწოდება განხორციელდება საბერძნეთში, ბულგარეთსა და იტალიაში.

„შაჰ-დენიზი 2“-ის ფარგლებში გათვალისწინებულია 26 გაზის წარმოების ახალი ჭაბურღილის გაბურღვა; 500 კმ სიგრძის ზღვისქვეშა მილსადენის გაყვანა, რომელიც ჭაბურღილებს ერთმანეთთან და ტერმინალთან დააკავშირებს; სანგაჩლის ტერმინალის გაფართოება; სამხრეთ კავკასიის მილსადენის აზერბაიჯანის და საქართველოს გავლით ახალი, პარალელური მილსადენით გაფართოება, რათა თურქეთის მიმართულებით წლიურად, დამატებით, 16 მილიარდი კუბური მეტრი გაზის მიწოდება განხორციელდეს.

„შაჰ დენიზის“ მეორე ფაზის წარმატებით განხორციელება მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რომელიც დღემდე ბუნებრივი აირის ძირითად მოცულობებს აზერბაიჯანიდან იღებს. მაგალითად, მიმდინარე წლის პირველ კვარტალში აზერბაიჯანიდან საქართველოში გაზის მიწოდების მოცულობამ დღე-ღამეში 2,5 მილიონი კუბური მეტრი შეადგინა, რის შესახებაც „სოკარის“ პირველმა ვიცე-პრეზიდენტმა ხოშბახატ იუსიფზადემ განაცხადა.

„აქედან ხუთ მილიარდ კუბურ მეტრზე მეტის ტრანსპორტირება საქართველოში მოხდა, 39 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტის კი — თურქეთში. საქართველოში პირველ კვარტალში გაზის მიწოდების მოცულობამ დღეში 2,5 მილიონი კუბმეტრი, თურქეთში კი 18,2 მილიონი კუბმეტრი შეადგინა“, — აღნიშნა „სოკარის“ ვიცე-პრეზიდენტმა.

რამდენიმე კონტრაქტის საფუძველზე, აზერბაიჯანი უზრუნველყოფს ქართულ ბაზარზე გაზის 90 პროცენტის მიწოდებას. „შაჰ-დენიზის“ მეორე ფაზის განხორციელება საქართველოს უზრუნველყოფს გაზის დამატებითი ოდენობით, რასაც საფუძვლად უდევს კონსორციუმთან გაფორმებული გრძელვადიანი ხელშეკრულებები. მანამდე კი, 2030 წლამდე, „სოკართან“ 2016 წლის 4 მარტს ხელმოწერილი შეთანხმების საფუძველზე, სამხრეთ კავკასიის გაზსადენის მეშვეობით 500 მილიონი კუბმეტრი გაზი დამატებით მიეწოდება სოციალურ სექტორს (მეურნეობები და ელექტროენერგიის თერმული გამომუშავება). კომერციულ სექტორში არ მოქმედებს საკანონმდებლო შეზღუდვები და კომერციულ მომხმარებლებს შეუძლიათ მიმწოდებლის არჩევა კომერციული პირობების საფუძველზე.

ნინო ევგენიძე

ირაკლი ჟვანია:

უნდა ვიცოდეთ იმ ხუთი ნაძირალის ვინაობა, „ვინც იმელის“ უკან შუშის სიმახინჯის აშენებას მხარი დაუჭირა...

„ჩვენ ბრმად ვაშენებთ სახლებს, გზებს, ამას შენებას ვეძახით და, სინამდვილეში, ეს ყველაფერი ნგრევის მომტანია“, – აცხადებს არქიტექტორი **ირაკლი ჟვანია.**

– 2015 წლის 13 ივნისის ვერეს ხეობის ტრაგედიამდე თანმიმდევრულად არასწორად მივდიოდით. საბჭოთა პერიოდში მდინარე ვერეს ხეობა არაერთგზის დაიტბორა. ამ ტრაგედიამდე კი მდინარე ვერემ წლების განმავლობაში გვაცალა და შემდეგ თავისი ტერიტორიები უკან დაიბრუნა. ამის მიუხედავად, შეცდომები გრძელდება, ხდება მთებისა და კლდეების ჩამოჭრა და იქ კორპუსების განთავსება. დანაშაულებრივ წრეზე რატომ ვტრიალებთ?

– რაც საქართველოში მოხდა, არც ერთ შემოსეულ მტერს არ უქნია. დაუფიქრებელი და დაუგეგმავი მშენებლობის ბრალი იყო ადამიანთა მსხვერპლი. რაც ხდება სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, სხვა უბნებში, საოცრებაა და, ჩემი აზრით, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. ახლანდელ სიტუაციას რაც შეეხება, როგორც ვიცი, მერიამ ცენტრალურ უბნებში შეაჩერა მაღლივი კორპუსების მშენებლობა, მაგრამ რაც უკვე გაკეთებულია, იმას რა ეშველება?! რა ეშველება სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიას? ვერის, მთაწმინდის უბნებს? ამის აღდგენა შეუძლებელია. ის, რაც თბილისში მოხდა, ეს არ არის ერთი და ორი კაცის ბრალი, ეს იყო საერთო საზოგადოებრივი შეთანხმება, რომელშიც მონაწილეობდა, ერთი მხრივ, მერიისა და არქიტექტურის სამსახურში მოკალათებული ჩინოვნიკების მთელი არმია და ეს დაიწყო ნაციონალებამდელ პერიოდში (90-იან წლებიდან), მეორე მხრივ, ეს იყო კერძო სექტორი, რომელიც ფულს იხდიდა და ძალიან ბევრი ფული ტრიალებდა ამაში. ახლა იმ ხალხს ახალი კორპუსებიდან ვერავინ გამოასახლებს, ეს გამორიცხულია.

– ვერ გამოასახლებენ რომელი უბნის კორპუსებიდან?

– სადაც გნებავთ, იმავე სპორტის სასახლის მიმდებარე ტერიტორიიდან. არადა, სპორტის სასახლე გენიალური შენობაა, ლადო მესხიშვილის აშენებული, ყველაზე მაღალი იყო მაშინ იმ მიდამოში. ძველი ფოტოები რომ ნახოთ, სპორტის სასახლე ყველაზე მაღალი შენობა იყო. ახლა კი ეს შენობა ჩაკარგულია. იგივე ხდება ფალიაშვილის ქუჩაზე, ამ ქუჩამ მთლიანად შეიცვალა იერი. ასევეა, ბარნოვის ქუჩა. ვაკეს ხომ მთლიანად გადაუარეს. რამაც მე სრულიად გამაოგნა და ასეთი რამ არ წარმომედგინა, ეს არის „დაბი ჯგუფის“ მიერ აშენებული შუშის შენობა ყოფილი იმელის უკან.

– ნაციონალებისდროინდელი ეს მშენებლობა ამ ხელისუფლების დროსაც გაგრძელდა, რადგანაც დიდი ფული შემოვიდა ხაზინაში...

– სხვათა შორის, მე სპეციალურად ამ შენობის საბუთები წამოვიღე და ვიპოვე ასეთი რამ, როცა ეს საკითხი გადიოდა ე.წ. არქიტექტურის საბჭოზე, ამ საბჭოში ყოფილა შვიდი წევრი. სამწუხაროდ, იქ გვარები არ ჩანს, მაგრამ ორმა კატეგორიული უარი თქვა მის მშენებლობაზე, ხუთმა კი მხარი დაუჭირა. ეს არის საინტერესო, ვინ არის ის ორი ადამიანი, რომ მათ მადლობა ვუთხრათ და უნდა ვიცოდეთ იმ ხუთი ნაძირალის ვინაობა, ვინც ამ შუშის სიმახინჯეს მხარი დაუჭირა. ეს იმიტომ გვჭირდება, რომ მომავალში ყველამ იცოდეს, ასეთი რამის ჩუმად გაკეთება არ შეიძლება. ამას წინათ მე თვითონ ვიყავი კულტურის მინისტრთან, ვუთხარი, სულ ხუთად-ხუთი მოქანდაკე დარჩა თბილისში, რომელსაც შეიძლება ეწოდოს მოქანდაკე, რადგან დანარჩენმა ყველამ თავი დაანება ამ პროფესიას. მათ ოჯახები ჰყავთ სარჩენი. ამიტომ ვთხოვე, რაღაც საშუალება მოგვეცით, რომ ჩვენი პროფესიები არ დავკარგოთ, რადგან ხვალ რომ დავჭირდეთ ქვეყანას, არ გვქონდეს პროფესია დავიწყებული-თქო. მიპასუხა, ვერაფერს მოგცემთო. ამასობაში მილიონებს იხდიან კონცერტებსა და ტაშ-ფანდურაში.

– ურბანისტებისთვის მტკივნეულია, რომ თბილისში მთების, კლდეების ჩამოჭრა და იქ კორპუსების ჩადგმა ხდება. ამდენად, მეწყერის დროს რომელი კლდე ან მთა მოწყდება, არავინ იცის...

– ახალი გზა რომ გაჰყავდა უგულავას, კარგად გაიყვანა თუ ცუდად, ეგ მეორე თემაა, მაშინაც ატყდა ერთი ამბავი, რას აკეთებსო. თურმე ძალიანაც საჭირო ყოფილა, დღეში ორჯერ მაინც ვსარგებლობ იმ გზით. მართალია, ეს მოხდა კლდეების ჩაჭრის ხარჯზე, მაგრამ არა უშავს, კლდეები ყველგან იჭრება. 13 ივნისს პირველი ჩემი ოჯახი იყო, რომელიც დაზარალდა. როდესაც მდინარე ადიდდა, პირველად დაარტყა ჩვენს სახლს მდინარე ვერეს ხეობაში. მოგეხსენებათ, იმ ავბედით დღეს მამა გიორგი ჯიბუტის ქალიშვილი დაიღუპა, ისინი ჩვენი მეზობლები იყვნენ. ამის შესახებ სულ ვაფრთხილებდით ხელისუფლებას, რომ ტრაგედია მოხდებოდა, კაციშვილს არ აინტერესებდა. რაც იქ მოხდა, იმ ხალხის დაღუპვა, რასაკვირველია, ხელისუფლების ბრალია, რადგან ხელისუფლება სტიქიას მოუმზადებელი შეხვდა. როდესაც წყალი მოვარდა და სვანიძის ქუჩა დაიტბორა, სანამ წყალი აქეთ გადმოვიდოდა, ისიც კი ვერ მოიფიქრეს, ახალი გზა დაეკეტათ მოძრაობისთვის. ელემენტარულად, პოლიცია დამდგარიყო და გზა დაეკეტათ. ამით გადარჩებოდა უამრავი ადამიანი. ხალხი პირდაპირ წყალში შედიოდა მანქანებით. ვერტმფრენების გამოყვანაზე კი საუბარი ზედმეტია.

– როგორც ვიცი, თქვენ არაერთი ინიციატივა შესთავაზეთ ხელისუფლებას. მათ შორის, კომპანია „თბილისის შადრევნების“ დამფუძნებლის რანგში, ითხოვდით, თბილისის ქუჩები დასუფთავებულიყო შადრევნებიდან გადაღვრილი წყლით და ამით ზედმეტი წყლის ხარჯვა გამორიცხულიყო.

– ბევრი ინიციატივა მაქვს. რამდენი ხანია, თბილისის უბნები არ ირწყვება და რამდენი ხანია, თბილისის ქუჩები არ გარეცხილა. არადა, იმდენი წყალი გვაქვს, სად წავიღოთ ეს წყალი, არ ვიცით. შადრევნებს როდესაც ვუვლიდით, სადღაც 10-15 ათას კუბ წყალს ვაქცევდით ყოველ წელიწადში. ახლა შემცირდა ეს მაჩვენებელი, რადგან შადრევნებისა და გადასასვლელების თემა ძალიან რთულადაა. ამ შემთხვევაში, მერია ცუდად მოიქცა, ტენდერები გააუქმა და თავისივე სამსახურს გადასცა შადრევნებისა და გადასასვლელების მოვლა-პატრონობა. ქალაქის კომუნალურ მეურნეობას შეეხება თბილისის მორწყვა. ამან გამოიწვია ის, რომ ვეღარ უვლიან ისე კარგად, როგორც ჩვენ ვუვლიდით. ყოველ წელს თბილისის მერიას სასმელი წყლის „სოკოებისთვის“ 550 ათასი ლარი ჰქონდა გამოყოფილი. წყალს რომ სვამს ხალხი, ამ თანხიდან 450 ათასს იხდიდნენ წყალში, რადგან 24 საათი ჩართული იყო. მივედი და ვუთხარი, გაუკეთეთ ჩამკეტები-თქო, მოიცა, გვეზარებაო და წყალში ამხელა ფული იხარჯებოდა. ფაქტობრივად, ამხელა ფულს ყრიდნენ. ამიტომაც მთლიანად ჩამოვშორდი ამ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ ამდენი წელიწადი ჩვენი კომპანია თბილისს ემსახურებოდა. ახლა სოფელში ვიყიდე სახლი და ღვინოს ვწურავ. 20 წლის ისტორიის კომპანია კი დაშლილია, ბიჭები წავიდნენ და ზოგი ტაქსისტად მუშაობს, ზოგი-სად, ზოგი სად...

ესაუბრა
მანანა ნოზაძე

ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე ქვისგან დამცავი ბადეების მონტაჟი დასრულდა

ჭაბუა ამირეჯიბის გზატკეცილზე, გმირთა მოედნისა და თამარაშვილის ქუჩის დამაკავშირებელ გზაზე ქვისგან დამცავი ბადეები დამონტაჟდა. შესრულებული სამუშაოები თბილისის მერმა დავით ნარმანიამ დღეს იაპონიის ელჩთან ერთად დაათვალიერა. საპილოტე პროგრამის ფარგლებში, სამუშაოები თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა იაპონურ და ქართულ კომპანიებთან ერთად აწარმოა. მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კლდე პერიოდულად იშლება და ქვები ცვივა, შესაბამისად, პროექტის ფარგლებში ძველი დამცავი ბადეები ახალი, უფრო ეფექტური და უსაფრთხო ბადეებით ჩანაცვლდა.

თბილისის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის თანამშრომლები, კომპანია „CRP“-ის წარმომადგენლებთან ერთად, იაპონელების მიწვევით, კვალიფიკაციის ასამაღლებლად და ახალი ტექნოლოგიების გაცნობის მიზნით, იაპონიაში იმყოფებოდნენ. ადგილზე შესრულდა საჩვენებელი სამუშაოები, რომელშიც მონაწილეობა ქართული მხარის წარმომადგენლებმაც მიიღეს, პარალელურად, დაათვალიერეს ის საწარმოები, სადაც ზემოთ ხსენებული ბადეები და ბაგირები მზადდება.

სამუშაოები 23 მაისს დაიწყო, რომელსაც იაპონური კომპანიები: „Tokyo Rope“, „Mitsui“ და „Jica“, ქართულ კომპანია „CRP“-სთან ერთად ახორციელებდნენ. დამცავი ბადეების მონტაჟი პროექტით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე დასრულდა. ფინანსური მხარე სრულად უზრუნველყო იაპონურმა მხარემ.

სახელმწიფო პროგრამის „სტარტაპ საქართველოს“ პრეზენტაცია ბათუმში გაიმართა

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და საქართველოს საპარტნიორო ფონდი ინოვაციური ბიზნესის ხელშეწყობის პროგრამის „სტარტაპ საქართველოს“ ფარგლებში გუშინ პროგრამის პრეზენტაციით ბათუმს ესტუმრნენ.

ადგილობრივებთან შეხვედრა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დარბაზში გაიმართა, რასაც მოსახლეობის მხრიდან დიდი დაინტერესება მოჰყვა. პრეზენტაციის განმავლობაში მათ საშუალება მიეცათ კითხვა-პასუხის რეჟიმში მიეღოთ ამომწურავი ინფორმაცია და გაცნობოდნენ „სტარტაპ საქართველოს“ ყველა მოთხოვნასა და პირობას.

პროგრამისთვის უმნიშვნელოვანესია საქართველოს რეგიონების მაქსიმალური ჩართულობა. შეხვედრები უკვე გაიმართა ახალციხეში, ახალქალაქში, მცხეთაში, გორში, თელავში, რუსთავში, მარნეულსა და ბათუმში. შემდეგი შეხვედრები დაგეგმილია ოზურგეთსა და ზუგდიდში (12 ივლისი), ქუთაისსა და ამბროლაურში (13 ივლისი).

„სტარტაპ საქართველო“ მთავრობის 4-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში ხორციელდება. საინვესტიციო პროგრამა ინვესტიციის სახით ინოვაციური იდეის მქონე მოქალაქეს აძლევს საუშუალებას, მოახდინოს იდეის გენერირება და დაიწყოს მუშაობა წარმოების შექმნასა და ბიზნესის განვითარებაზე. საჭიროა ქვეყანაში ბიძგი მიეცეს მსგავს წამოწყებებს და მოქალაქეებს ჰქონდეთ საშუალება და შანსი განახორციელონ იდეა პრაქტიკულად. პროგრამა „სტარტაპ საქართველო“ მაქსიმალურად კომფორტულ პირობებს უქმნის ინოვატორ ადამიანებს, რათა ქვეყანაში განვითარდეს აღნიშნული სფერო და აისახოს მისი დადებითი ეფექტი ქვეყნის სწრაფ განვითარებაზე.

ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ინოვაციური ეკოსისტემის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში, მთავრობის მიერ გატარებული ყველა ამ ღონისძიების საბოლოო მიზანი ქვეყანაში საერთო სამეწარმეო გარემოს შექმნა და ახალგაზრდა, დამწყები ბიზნესმენების წახალისებაა.

„სტარტაპ საქართველო“ 17 ივნისს დაიწყო და მისი განმახორციელებლები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და საპარტნიორო ფონდი არიან.

ვისგან შევიტყვეთ სიმართლე საქართველოს დრამატულ ბედზე?

ალექსანდრე ორბელიანის ოთხტომეულის გამოცემის აუცილებლობისთვის



ალექსანდრე ორბელიანმა ბევრწილად განსაზღვრა ილია ჭავჭავაძისა და მისი თაობის შემოსვლა და დამკვიდრება საზოგადოებრივ ცხოვრებასა და სალიტერატურო-ჟურნალისტურ ასპარეზზე, შეიძლება ითქვას, დააჩქარა საქართველოსთვის ეს სასიცოცხლო პროცესი. ჩამოაყალიბა მათი მსოფლმხედველობა და ცხოვრების სტილი.

იგი ცოცხალ მაგალითად წარმოდგებოდა თანამედროვეობის თვალში, თუ რას ნიშნავს ზნეობრივი და სულიერი პრინციპებისადმი ერთგულება და 1832 წლის შეთქმულების იდეალების შენარჩუნება.

მის გარდა ხელისუფლების წნეხს ვერავინ გაუძლო ფარული საზოგადოების მონაწილეთაგან და გადასახლებიდან დაბრუნებულნი ჩადგნენ იმპერიის სამსახურში.

ალექსანდრე ორბელიანი გაემიჯნა მათ თავისი ცხოვრების წესით და ახალგაზრდები ამითაც აიყოლია, ილია ჭავჭავაძე იქნებოდა თუ აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე თუ სერგეი მესხი, და კიდევ სხვანი და სხვანი, რათა მათი ძალისხმევა მიმართული ყოფილიყო იმპერიისაგან საქართველოს თავდასახსნელად.

ამასთან, მისგან შეიტყვეს სიმართლე საქართველოს დრამატულ ბედზე — თანადროულ ყოფაზეც და მისი დაპყრობის (სწორედაც დაპყრობის და არა რუსეთთან ნებაყოფლობითი შეერთების!) გარემოებებზეც.

ამ ყველაფრის გამოქვეყნება, ისტორიული სიმართლის გამომჟღავნება იმხანად შეუძლებელი გახლდათ და ამიტომაც ალექსანდრე ორბელიანი კმაყოფილდებოდა ცალკეული პუბლიცისტური სტატიების გამოქვეყნებით — თავისთავად მრავალმხრივ მნიშვნელოვანით — საზოგადოებრივ და კულტურულ-საგანმანათლებლო თემებზე.

კიდევ უფრო გამწვავდებოდა დამოკიდებულება მისი პიროვნებისა და ნაწერებისადმი საბჭოურ ეპოქაში, რათა საქართველოს დაპყრობის პირუთვნელ ისტორიას რკინის ფარდა ჩამოფარებოდა.

საშუალებანი მისი ღვაწლისა და ცხოვრების შესასწავლად გაიხსნებოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, როდესაც თანდათანობით გამოქვეყნდებოდა მისი ისტორიული ქრონიკებიც და მემუარული ყაიდის თხზულებანიც.

ალექსანდრე ორბელიანის ნაღვაწის სრულყოფილად წარმოჩენა ჩვენი ფილოლოგიისა და ლიტერატურისმცოდნეობის გადაუდებელი ვალია. ის არა მარტო გარდასული ეპოქის სურათებს აღგვიდგენს მიუკერძოებლად და შთამბეჭდავად, არამედ ძალიან დაგვეხმარება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების მოწესრიგებასა და დასავლეთთან დაახლოებაშიც. უამისოდ ალექსანდრე ორბელიანს ვერ წარმოედგინა ჩვენი ქვეყნის სრულფასოვანი არსებობა და ყოველმხრივ იღვწოდა ამ შეხედულების დასამკვიდრებლად საზოგადოებრივ ცნობიერებაში.

ევროპეიზაცია — როგორც პოლიტიკური და ესთეტიკური ორიენტირი.

ალექსანდრე ორბელიანი ჩაუდგებოდა სათავეში ახალი დროის დოკუმენტურ პროზას, ჟანრს, რომელიც დღესდღეობით ძალზე პოპულარულია დასავლეთშიც და ჩვენს ქვეყანაშიც იმ სახით, რაც ნიშანდობლივია ამ ჟანრის უკეთეს ქმნილებათათვის. და ამ უკეთეს ქმნილებებში უნდა ვიგულისხმოთ ალექსანდრე ორბელიანის შემოქმედების ეს ნაწილი თუ რკალი, ხელშესახებად რომ გადაგვიშლის თვალწინ XVIII-XIX საუკუნეების მიჯნის საქართველოს ცხოვრებას და ძვირფას მასალად წარმოდგება არამარტო ლიტერატურათმცოდნეთა და ისტორიკოსთათვის, არამედ პოლიტოლოგებისთვისაც, ეთნოგრაფებისთვისაც, ფსიქოლოგებისთვისაც.

იგი არამარტო გარედან იცნობდა ამ ეპოქას, არამედ შიგნიდანაც — მოეხსენებოდა სამეფო კარისა და საზოგადოებრივი ცხოვრების კულუარები, ის, რაც დაფარული რჩებოდა ბევრისათვის, მაგრამ ალექსანდრე ორბელიანს იმ ეპოქის შესაცნობად ეგულებოდა საუკეთესო და სანდო გზამკვლევი — დედამისი თეკლა ბატონიშვილი, ერეკლე მეორის ასული, რომელიც აღიარებული გახლდათ იმ ჟამის დიდებულ ზეპირ მთხრობელად, მისი ნაამბობებით კი საკმაოდ სარგებლობდა ალექსანდრე ორბელიანი, დამატებით წყაროებსაც რომ ეძიებდა ცალკეულ მოვლენათა თუ დეტალთა შესავსებად და ქმნიდა ერთიან დრამატულ პანორამას.

მისი მემუარებიც ამ ჟანრის უკეთეს მონაპოვარს მიეკუთვნება.

ასე რომ:

მისი ნაწერების თარგმნა აუცილებელია, რათა დასავლელ მკითხველსა და მკვლევარებს სრულქმნილი და მიუკერძოებელი შთაბეჭდილება შეექმნათ საქართველოს ისტორიის ერთ ყველაზე მძიმე ხანაზეც და ქართველი ხალხის პოლიტიკურ და კულტურულ არჩევანზეც, თარგმნამდე კი საშურია ამ ნაწერების თავმოყრა და გამომზეურება შესაფერისი კომენტარების დართვით, რათა ამ მრავალმხრივ ძვირფას თხზულებებს შეექმნათ ის ისტორიულ-ენციკლოპედიური ფონი, მკითხველს რომ გაუადვილებს თხრობის სიღრმეში ჩაწვდომას — დიდძალი ცნობის ამოკითხვასაც და ნაამბობის ექსპრესიის შეგრძნებასაც.

თუ სიკეთე იქნა, ალექსანდრე ორბელიანის თხზულებანი — ნაწერებთან ერთად საგამოძიებო კომისიის ოქმებიც — მოთავსდება ოთხ ტომში, რომელიც იქნება საიმედო მეგზური მკითხველისთვის წარსულშიც და მომავალშიც.

წლების წინათ მცირე წიგნებად გამოცემული „სიტყვა გამოვის ტრაპეზზედ“ და „თელავი“ დაე ვიგულისხმოთ პირველ მერცხლებად ოთხტომეულის მომზადებისა, მითუმეტეს, რომ არ დასტამბულა ქართული პროზის ტომეულები უძველესი ხანიდან დღემდე, 1832 წლის შეთქმულების ერთ-ერთი მეთაური რომ გამოეტოვებინათ.

ასეთივე აქტუალურად კიდევ არაერთი გამოცემა გვესახება, ხოლო უფრო აქტუალურად — არცერთი.

როსტომ ჩხეიძე

◎ წიგნი — ჩვენი თანამგზავრი

როცა ბიბლიოთეკარი პოეტია...

„ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!“
(გალაკტიონი)

ამ რამდენიმე დღის წინათ ერთი ავტორის წიგნის წარდგენაზე შევიკრიბეთ, ბევრი ჩვენგანი მართლაც ვიყავით პოეზიისა და ლიტერატურის მოყვარული და გარკვეულწილად ამ საქმის მცოდნენიც... საყურადღებო საუბარი გაიმართა, სწორედ ამ საუბრის დროს დამებადა აზრი — მწერლობა, ეს დიდი და მძიმე პროფესიაა. მაგრამ როდის არის მწერლობა პროფესია, როდესაც მთელი სულით და გულით, სამუშაო დღის სრული დატვირთვით მიუძღვნი ამ საქმეს შენს ცხოვრებას თუ მაშინაც, როდესაც ლექსებისა და მოთხრობების წერას, თუნდაც ხატვას და ხელოვნების სხვა ნებისმიერ დარგს ჰობად მიიჩნევ? ერთ-ერთმა ჩვენგანმა, პოეტმა ქალბატონმა ისეთი სიტყვები თქვა, რომ დავუკვირდი, კი, ნამდვილად, მწერლობა პროფესიაა, ლამაზად წერა შეიძლება ბევრმა შეძლოს, მაგრამ რას წერ, რას ემსახურება შენი ნაწერი, — ვფიქრობ, რომ მთავარი ეს არის და მაშინა ხარ პროფესიონალი, საზოგადოებისთვის საინტერესოც, მნიშვნელოვანიც და სასარგებლოც. თუმცა, აქაც ბევრი რამ სადავოა, ხომ არის ხელოვნება ხელოვნებისთვის და არა ხალხისთვის, მხოლოდ ვიწრო წრისთვის კი, და ამ ვიწრო წრეში ატეხავენ ერთ ამბავს (ჭიქა წყალში ქარიშხალს): ხედავთ, კალამი თუ ფუნჯი როგორ მოუსვია, ეს რა ფერთა გამაა, ეს რა პოეტური ხილვები და სიტყვებიაო... დიახ, პოეტური ხილვები და წარმოსახვებიც უნდა იყოს, ფერთა გამაც, განსაკუთრებული სურნელებითაც უნდა ატკბობდეს შენი ნაწარმოები, ლექსი თუ მოთხრობა მკითხველს (მხატვრობის შემთხვევაში — მნახველს), თორემ სხვაგვარად ვერ იქნება მწერლობა — მწერლობა და ვერც ხელოვნება — ხელოვნება.

იცით, ეს საუბარი რატომ წამოვიწყე? ამ ცოტა ხნის წინათ ერთი ძვირფასი და კარგი ქალბატონის, ინგა ლორიას შედგენილი წიგნი — ბიბლიოთეკარი პოეტი — აი ასე, ყოველგვარი ტირე-დეფისისა და ბრჭყალების გარეშე დასათაურებელი, მიახსოვრეს (ამ სათაურით შარშანაც გამოსცა ქალბატონმა ინგამ ერთი ლამაზი კრებული). უცებ ვერ შევათავსე ეს ორი სიტყვა ერთმანეთს, ბიბლიოთეკარი ხომ ბიბლიოთეკარია, პოეტიც — თავისთავად პოეტია. მაგრამ ორივე ერთად?! დიახ, ახალი ამბავი როდია ჩემთვის ერთ პროფესიას შეჭიდებული კაცი რომ მეორისაკენ ილტვის და ხშირად ეს „მეორე“ უკეთ გამოსდის. მაინც ეჭვის თვალით გადავათვალიერე წიგნი და ჩემდა სასიხარულოდ ბევრი ტკბილსურნელოვანი ლექსი აღმოვაჩინე.

ბიბლიოთეკაში მუშაობა, კერძოდ, ბიბლიოთეკარობა სახუმარო საქმე არ არის, თუ ნამდვილი ბიბლიოთეკარი ხარ, ე.ი. თუ გიყვარს წიგნი, თუ იცი საბიბლიოთეკო საქმე (უპირველეს ყოვლისა, წიგნების ორგანიზება და ბევრი სხვა რამ!..) და თუ პატივს სცემ მკითხველს, ადამიანს.

წიგნის, ბიბლიოთეკარისა და მკითხველის ურთიერთობით ბევრი სასიკეთო რამ ხდება, ვინმე კერძო პირისთვის კი არა, არამედ სახელმწიფოსთვის, ქვეყნისთვის. ვინც ფიქრობს, რომ ბიბლიოოთეკარისა და ბიბლიოთეკის მუშაობა არაპროდუქტულიაო, სამწუხაროდ, მას არაფერი გაეგება კულტურისა და განათლების ამ ზოგადსაკაცობრიო სფეროში... თუ პირველი იყო სიტყვა, მას მოჰყვა დამწერლობა და ყოველივე ამის შემდგომ დაიბადა კაცობრიობის მოდგმის გაადამიანებისა და უკვდავების საფუძველი — წიგნი, მაშ, რაზეა ლაპარაკი?! მაგრამ დღესღეობით ბიბლიოთეკისა და ბიბლიოთეკარის როლი არ არის ისე შეფასებული (ყოველ შემთხვევაში, საქართველოში), როგორც მას ეკუთვნის.

ბიბლიოთეკარი გონებრივ სამუშაოსთან ერთად ფიზიკურადაც დატვირთულია, ყოველივე ეს კარგად უწყიან ბიბლიოთეკარებმა და ამ დროს მათ თუ თავიანთი ინტელექტი იზიდავს პოეტურ სამყაროში არა მხოლოდ ფიქრებთან ერთად განმარტოებით სამოგზაუროდ, არამედ საკუთარი მხატვრული სიტყვის სათქმელად და რითმების ასაკრებადაც, დიახ, საამაყოა ეს და გასახარელი. მოიძიეთ, ნახეთ, გადაშალეთ ეს ლამაზყდიანი კრებული, გაეცანით ჩვენი ბიბლიოთეკარების პოეტურ განწყობას და ნამდვილად ნასიამოვნები დარჩებით, ჩემო ძვირფასო მკითხველო, იმიტომ რომ წიგნის მსახურნი არა მხოლოდ განსწავლულნი, არამედ ნამდვილი მამულიშვილები არიან, შეგიძლიათ თავისუფლად ენდოთ, ესაუბროთ, გაუზიაროთ აზრები და შეხედულებები, შეხვიდეთ თანამედროვე ინფორმაციის თქვენთვის საინტერესო სფეროში, გაიღრმავოთ ცოდნა და სულიერადაც ამაღლდეთ...

სად არ დადიან და რას არ ეტრფიან ჩვენი მწიგნობარი ბიბლიოთეკარები. ეტრფიან სამშობლოს, გმირობას, სილამაზეს, ბუნებას, ერთგულებას, სიყვარულს და თურმე, არც ისე ცუდად გამოუდით ამ გრძნობებზე პოეტურად საუბარი. **„მე პოეზიის ჰანგით ვარ სავსე, ქართული სიტყვა მომძალებია, ხალხის ტკივილი, ლხინი და დარდი პატარა მხრებით მიტარებია...“** — არ დაიჯერებთ ქუთაისელი ბიბლიოთეკარის, ირმა მეშველიანის ამ წრფელ სიტყვებს? ანდა, როგორ შეიძლება წაიკითხო და არ მოიხიბლო ჭიათურელი (სოფელი რგანი) ბიბლიოთეკარის ნიაზ აჭარაძის ლექსით — **„ნათია“: „სახლისკენ მივაბიჯებ ღიღინით, ბახუსმა თავისი გაიტანა, ჭიშკართან გოგონა მიღიმის, ირმისფეხება და ალვისტანა. მთვარე ფარანივით ანთია, ვდგავართ ერთმანეთთან ახლოს, მეზობლის გოგონა ნათია, მე მისი დაბადება მახსოვს“...** და, ბოლოს: **„ჭრიალებს ჭიშკართან გაზაფხული, დასიცხულს ოაზისი ელოდება, ავდივარ კიბეზე გალახული, და ჩემი შემოდგომა მეცოდება“.** — ეს ხომ შემოდგომაში ფეხშედგმული კაცის ნამდვილი პოეზიაა!.

გაგიკვირდება საით გაქცეულა მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული ბიბლიოთეკის ბიბლიოთეკარის ირმა მალაციძის ფიქრები **„ალმოდებული ოცნებისაგან შეაღწიე ჩემი ტვინის ხვეულებში, ლაბირინთში გზა არ აგებნეს, გულისცემა იქნება შენი ნავიგატორი., შენიდან ჩემს გულამდე გზამკვლევი. ხედავ, დამიობდა კედლები, ხავსი მოედო ზღურბლს... კირით შეწამლული ფესვები ცრემლმა ჩარეცხა და უსასრულოდ ხრავს დროის ჭია“,** ხომ მოვიდა ჩვენთან და ხომ გვატკინა ჩვენც გული ოცნებისაგან ალმოდებულმა ირმამ თავისი „კარდიოგრამით“...

„უკრიმანჭულებს შემოდგომას ეზოში შაშვი, ყანაში სიმინდს ყაბალახი წაუკრავს თავზე და იზაბელა, ონავარი, როგორც ციცაი, დაუკითხავად აპარულა მეზობლის ნაძვზე.“ — როგორი სურათია, ა! ნამდვილად სკოლის სახელმძღვანელოში შესატანი, უნდა ისწავლონ ბავშვებმა თბილისელი ბიბლიოგრაფის ლელა ცუცქირიძის ლექსის ეს სტროფები...

და ასე შემდეგ და ასე შემდეგ — „ბიბლიოთეკარი პოეტის“ ორივე კრებულში ნახავთ თქვენ ჩვენი სასიქადულო ბიბლიოთეკარების ხატოვან ფიქრებს, სურნელოვანი სიტყვებით დაქარგულ სურათებს და დარწმუნდებით როგორ თავსდება ადამიანში ორი პროფესია ერთად! ეს არის სწორედ „ნიჭი, ძამიკო, ნიჭი“. ვამთავრებ წერილს, მაგრამ, ჩემო ძვირფასო მკითხველო, არ შემიძლია გვერდი ავუარო და პირველი კრებულიდან თუნდაც ერთი სტროფი არ მოგაწოდოთ ჩვენი ახალგაზრდა მწერლის, ამჟამად დიდი ბიბლიოთეკარის (ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორია!) გიორგი კეკელიძის მეტისმეტად ორიგინალური ლექსიდან : **„არვინ ვიცით, ვინ შეგვაყვარა (და რას გაგვყარა), ვინ დაგვაბრალა ჯიბეებში დამღრჩვალი ფრთები, ვინ დაგვაძალა ერთნაირი გვეყოს სამხარი და სამხარს მერე წამწამების ფიჩხით რომ ვთბებით“... აი, სად მივყავართ პოეტურ წარმოსახვებს და აზროვნების სხვაგვარ, ორიგინალურ სტილს, მაგრამ ეს ყველაფერი მთლიანობაში უნდა წაიკითხოთ.**

და ბოლოს, ამ ორ კრებულში ბევრი რამ არის საგულისხმო, მაგრამ მთავარი მაინც შექმნის იდეაა და მისი დაპროექტება, რაშიდაც დიდი წვლილი მიუძღვის კრებულების შემდგენელს ინგა ფილაურ- ლორიას და მის თანამდგომთ: რედაქტორ მაია მიქაბერიძეს, მხატვრებს — ნინო ჩაკვეტაძესა და ნინო ჩიხრაძეს, საქართველოს საბიბლიოთეკო ასოციაციას და საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას.

ძვირფასო მკითხველო, არ დაიზაროთ, წაიკითხეთ თქვენი ბიბლიოთეკარების ლექსები, იმოგზურეთ მათ მხატვრულ სამყაროში, კიდევ ერთხელ შეიგრძნეთ ქართული სიტყვის სიტკბო!

გულნარა სტურუა

ევროკავშირის შექმნის სათავეებთან ქართველებიც იდგნენ

ეს წერილი სპეციალურად იწერება ქართველი დიპლომატებისთვის, მაღალი რანგის სახელმწიფო მოხელეებისთვის, საქართველოში აკრედიტებული ევროკავშირის, აშშ-ის და სხვა ქვეყნების ელჩებისთვის, რომლებმაც უნდა იცოდნენ, რომ ევროკავშირის შექმნის სათავეებთან ქართველებიც იდგნენ.

დღეს, როცა ზოგიერთი ქვეყანა ჩვენ გვამადლის ვიზალიბერალიზაციის მოცემას (რაც შარშან გაიმეტეს ნაურუსთვის და სხვა ჩამორჩენილი რამდენიმე ქვეყნისთვის) და ამასაც გვიფერხებენ, შინაურმაც და გარეულმაც კარგად უნდა იცოდეს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ფაქტი.

პირველი ის, რომ ცნობილმა ქართველმა ემიგრანტებმა ჯერ კიდევ 1953 წლის 10 აგვისტოს (ანუ ჯერ კიდევ 63 წლის წინათ) ოფიციალურად დააარსეს „ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე — პროფესორი მიხაკო წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი იყო პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილი.

მეორე ის, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ თანამედროვე ევროინტეგრაციის იდეის ჩამოყალიბებაში და განხორციელებაში ჟან მონესა და რობერტ შუმანთან ერთად საპატიო ადგილი უკავია ორ ქართველ ემიგრანტ-მკვლევარს, პროფესორებს მიხეილ მუსხელიშვილსა (1903-1964) და ალექსანდრე ნიკურაძეს (1901-1981).

პროფესორმა ილა ტაბაღუამ **მიხეილ მუსხელიშვილს** (ევროპაში მას იცნობდნენ როგორც მიხეილ მუსხელს) „ერთიანი ევროპის“ სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი უწოდა. მიხეილი დაიბადა 1903 წელს თბილისში ცნობილი თვალის ექიმის ვახტანგ მუსხელიშვილის ოჯახში, თავის 3 ძმასთან (ლევანი, გიორგი, სოლომონი) ერთად დაამთავრა ლევანტიევსკის გიმნაზია და ოთხივე საზღვარგარეთ სასწავლებლად წავიდა.

1932-1933 წლებში იგი უკვე ლექციებს კითხულობდა პარიზის უნივერსიტეტის საერთაშორისო გამოკვლევათა უმაღლეს ინსტიტუტში. 1935-1948 წლებში მუშაობდა ქაიროს სამართლის ფრანგული სკოლისა და ქაიროს უნივერსიტეტის პროფესორად. ამის შემდეგ იგი კვლავ ბრუნდება საფრანგეთში, ქ. სტრასბურგში და 1948-1964 წლებში, სიცოცხლის ბოლომდე იყო სტრასბურგის უნივერსიტეტის იურიდიულ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წამყვანი პროფესორი.

მიხეილ მუსხელიშვილი ევროპაში ეწეოდა ფართო სამეცნიერო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას. 1948 წელს გახდა საუნივერსიტეტთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტ-დამაარსებელი, ხოლო 1954 წლიდან ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაციის დამაარსებელი და გენერალური მდივანი.

მიხეილ მუსხელიშვილი

ევროპის ამჟამინდელ პოლიტიკურ ცენტრში — სტრასბურგში მიხეილმა შექმნა ძალიან ავტორიტეტული სამეცნიერო დაწესებულება „მუსხელის ცენტრი“, რომელიც იკვლევდა ევროინტეგრაციის საკითხებს, სწავლობდა საბჭოთა კავშირში მიმდინარე მოვლენებს საერთაშორისო სამართლის კუთხით. ამ ცენტრში მან დააარსა საერთაშორისო სამეცნიერო კრებული, რომელშიც მონაწილეობდნენ გამოჩენილი მეცნიერები ჟორჟ კედელი, რობერ მოსსე, გუი ერო, ანრი შამბრი და სხვები. პროფესორმა მიხეილ მუსხელიშვილმა გარდაცვალებამდე მოასწრო ამ ცენტრის კრებულის 2 დიდი ტომის მომზადება და გამოცემა, რომლებსაც უძღვის მისი ვრცელი წინასიტყვაობა. ორივე ტომმა დიდი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საერთაშორისო იურიდიულ მეცნიერებათა სამყაროში, ასევე პრესაში („ფიგარო“, 2.03.1965) მიხეილ მუსხელიშვილის სტატიები იბეჭდებოდა ცნობილ ჟურნალებსა და სამეცნიერო კრებულებში გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე. მისი სტატიები ქვეყნდებოდა ასევე პარიზში გამომავალ ქართულ ჟურნალში „ბედი ქართლისა“ (მაგ. „საქართველო და ევროპა“, №15 1953, გვ. 1-3 „ერთა თვითგამორკვევის უფლებისათვის“, №18, 1954, გვ.15-16 (საინტერესოა, რომ მან ფრანგულ ჟურნალში „მონდ ნუვო“, №89-90 , 1955, დაიბეჭდა სტატია საათაურით „საბჭოთა კავშირი და ევროპა“, სადაც ამტკიცებს, რომ რუსეთი არ არის ევროპა).

მიხეილ მუსხელი იყო ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ომის შემდგომი ევროპის გაერთიანების, მისი ფედერაციის იდეა წამოაყენა და დაიცვა (მან დღეისათვის ევროკავშირის სახე მიიღო). მისი აზრით, ევროპული ფედერალიზმი — ეს არის არა მარტო სასიცოცხლო აუცილებლობა ევროპელი ერებისათვის, არამედ მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპაში საერთო აყვავების, ადამიანთა თავისუფლებისა და ღირსების დაცვის გარანტია (იხ.: მისი ნაშრომი „ევროპის ფედერალიზმის სტრუქტურა“).

მიხეილ მუსხელიშვილი იყო ევროპის კონგრესის, ერთიანი ევროპის შექმნის სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი და პირველი პრეზიდენტი „ფედერალური ევროპის მოძრაობის“ კომიტეტის წევრი, ევროპის ერთიანობის საერთაშორისო ცენტრის ბიუროს ვიცე-პრეზიდენტი. იგი აქტიურად მონაწილეობდა საფრანგეთში „ერთიანი ევროპის“ წარმომადგენელთა არჩევნებში, იყო ჟურნალ „ევროპის ფორმირებიყს“ რედაქციის კომიტეტის წევრი. 1953 წლის 10 აგვისტოს ოფიციალურად დაარსდა “ევროპული ქართული მოძრაობა“ (საპატიო თავმჯდომარე — პროფესორი მიხეილ წერეთელი), რომლის სულისჩამდგმელი ასევე მიხეილ მუსხელიშვილი იყო.

მკვლევარი არ კმაყოფილდებოდა წმინდა იურიდიული მეცნიერებით და აქტიურად ჩაერთო ცოცხალ პოლიტიკურ ცხოვრებაშიც, იყო ადამიანისა და ერის უფლებების მგზნებარე დამცველი, საქართველოს ქომაგი. ასეთი დიდი ენერგიისა და გაქანების კაცს იტაცებდა ალპინისტობა, რომლის მსხვერპლიც შეიქმნა ბოლოს. 1964 წელს იტალიაში, აოსტას ხეობაში იგი კლდიდან ჩამოვარდა და ტრაგიკულად დაიღუპა (5 წლის მერე იტალიაში იგივე ბედი ეწია ლეგენდარულ ქართველ მთასვლელს, 37 წლის მიხეილ ხერგიანს). მის დაკრძალვას მთელი სტრასბურგის უნივერსიტეტი დაესწრო. სიტყვა წარმოთქვა უნივერსიტეტის რექტორმა ა. ვიელმა, დეკანმა რაუერმა, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მოადგილემ პოლ მოდინმა. დიდი მეცნიერი დაკრძალულია სტრასბურგის სასაფლაოზე და სამწუხაროდ, დღემდე უყურადღებოდაა მიტოვებული თანამემამულეებისაგან.

სტატიაში „საქართველო და ევროპა“, 1953 წელს მიხეილ მუსხელიშვილი წერს, რომ საჭიროა დღესვე ვიფიქროთ იმ ადგილზე, რომელსაც თავისუფალი საქართველო დაიკავებს ხვალინდელ მსოფლიოში... მეორე მსოფლიო ომმა საბოლოოდ დაასრულა ეროვნულ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის ეპოქა (ამას მივუმატოთ დღევანდელი გლობალიზაციის მიერ შექმნილი პრობლემებიც - ვ. შ.) მეცნიერებისა და ტექნიკის მიერ მოხდენილმა გრანდიოზულმა პროგრესმა შექმნა ისეთი ვითარება, რომელშიც მხოლოდ დიდ პოლიტიკურ გაერთიანებებს შეუძლიათ არსებობა... რუსეთის უზარმაზარი იმპერიის შექმნის შემდეგ საქართველოს ჰყავს საშიში მეზობელი, რომლისთვისაც საქართველო ყოველთვის მაცდუნებელი ნადავლი იქნება. როგორ შეუძლია მას გარანტირებული იყოს რუსეთის იმპერიალიზმის საშიშროებისაგან? ამის შემდეგ ქართველი ხალხი იძულებული არჩევანის წინაშეა: ან იძულებული იქნება რუსეთს შეუერთდეს, ან კიდევ კავშირები ეძებოს. სიმართლე რომ ვთქვა, მას არა აქვს არჩევანი იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ საქართველო ახლოსაა ევროპასთან და უცხოა რუსეთისათვის. შეგნებული აქვს რა ეს ფაქტი, საქართველო არასოდეს არ დათანხმდება რუსეთთან შეერთებაზე.

ევროპა ახლა აკეთებს ამ დასკვნას. ასევე აუცილებელია, რომ ქართველებმა დაამტკიცონ თავიანთი არსებობა ევროპაში და მიაღებინონ საქართველო ევროპულ ოჯახში... მხოლოდ ევროპის თავისუფალ და დემოკრატიულ სახელმწიფოთა ასოციაციაში გაწევრების შემდეგ შესძლებს ქართველი ერი დაიცვას თავისი ინდივიდუალობა, თავისი კულტურა და თავისი ტრადიციები და თავი დააღწიოს გიგანტურ რუსულ-აზიურ იმპერიაში შთანთქმის საშიშროებას“.

საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის, ქართულ-ევროპული პარალელების ძიების და „ევროპოლოგიის“, როგორც სამეცნიერო ინტერ-დისციპლინარული დარგის, ჩამოყალიბებასა და განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გამოჩენილმა ქართველმა ემიგრანტმა-მეცნიერმა, პროფესორმა **ალექსანდრე ნიკურაძემ**.

ქუთაისის გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ალექსანდრე ნიკურაძე უფროს ძმასთან, ივანესთან (შემდეგში გერმანიაში მოღვაწე მსოფლიოში ცნობილი ჰიდრავლიკოსი, თეორიული მექანიკის პროფესორი) ერთად ჩაირიცხა ახლადგახსნილ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მალე ნიჭიერი ძმები ივანე ჯავახიშვილისა და პეტრე მელიქიშვილის რეკომენდაციით სასწავლებლად გაგზავნეს გერმანიაში, სადაც მათ დიდი სახელი მოიხვეჭეს.

1930 წლიდან ალექსანდრე ნიკურაძე მუშაობდა მიუნჰენისა და ბერლინის უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში. 1934 წელს ბერლინში გერმანულ ენაზე გამოქვეყნდა მისი გახმაურებული მონოგრაფია “თხევადი დიელექტრიკები“, რომლის რუსული თარგმანი 1936 წელს გამოიცა მოსკოვში (მანამდე ასეთი წიგნი რუსებს არ ჰქონდათ).

თავისი ძირითადი სპეციალობის გარდა (მუშაობდა მყარი სხეულების ფიზიკასა და ენერგეტიკაში, ბოლოს განაგებდა საკუთარ ინსტიტუტს მიუნჰენში ამ სფეროში). ალექსანდრე ნიკურაძე გატაცებული იყო პოლიტიკით და ჰუმანიტარული მეცნიერების დარგებით, კერძოდ, გეოპოლიტიკით, ისტორიით, არქეოლოგიით, ლიტერატურით და ა. შ.

სამშობლოს მძიმე მდგომარეობით ღრმად შეწუხებულმა ალექსანდრემ გადაწყვიტა, თანამშრომლობა დაეწყო გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელმძღვანელობასთან, რათა გერმანიის დახმარებით აღედგინათ საქართველოს დამოუკიდებლობა. მას ახლო კავშირი ჰქონდა ალფრედ როზენბერგთან, რომლის შეხედულებები კავკასიის მოვლენების მიმართ ემყარებოდა ალექსანდრე ნიკურაძის გავლენას. როზენბერგი ლობირებდა დამოუკიდებელ საქართველოს და ანტისაბჭოთა შეხედულებებით გამსჭვალულ ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს გერმანიის მხარდაჭერას ჰპირდებოდა. ცნობილი გეოპოლიტიკოსის კარლ ჰაუსჰოფერის „ფართო სივრცეების“ თეორიის გავლენის ქვეშ მყოფი ნიკურაძე მუშაობდა ჩანაფიქრზე, რომელიც მიზნად ისახავდა, ქართველებს წამყვანი როლი შეესრულებინათ ერთიან კავკასიურ კონფედერაციაში. როზენბერგმა ალექსანდრე ნიკურაძეს კონტინენტური ევროპის კვლევის ინსტიტუტი შეუქმნა, სადაც ამ თემის კვლევას აწარმოებდნენ ჰაუსფოფერის თეორიის ჭრილში (ამ ინსტიტუტში მუშაობდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ზურაბ ავალიშვილი, რომელიც 1944 წელს გარდაიცვალა).

ალექსანდრე ნიკურაძე ფსევდონიმით „ა. ზანდერსი“ რამდენიმე გეოპოლიტიკური შინაარსის წიგნის ავტორია, მათ შორისაა „კავკასია“ (გამოიცა სამჯერ — 1938, 1942, 1944 წ. წ:, მიუნჰენში), რომელშიც ის წარმოაჩენს საქართველოს განსაკუთრებულ მნიშვნელობას კავკასიისათვის. მისი აზრით, საქართველოს, როგორც ცენტრალურსა და პოლიტიკურად ყველაზე უნარიან ქვეყანას კავკასიაში, იგივე როლი ენიჭებოდა, როგორც გერმანიას ევროპაში. სწორედ ნიკურაძის გავლენას უნდა მივაწეროთ როზენბერგის პროქართული შეხედულებები —იგი ჯერ კიდევ 1927 წელს ანიჭებდა დიდ მნიშვნელობას კავკასიის რუსეთისაგან გამოყოფას, ხოლო 1941 წლის აპრილშიწერდა, რომ „კავკასიის ხალხებს შორის ქართველები ისტორიულად უთუოდ წამყვანები იყვნენ და ამიტომ ქართველები, შეიძლება ითქვას, მასპინძელი ხალხი უნდა გახდეს კავკასიური სახელმწიფოების კონფედერაციისა, რომლებმაც შესაძლებელია, გერმანიას სთხოვონ მათი კულტურული და ეროვნული არსებობის დაცვა“.

1943 წელს გამოვიდა ალექსანდრე ნიკურაძის წიგნი „გადაწყვეტილებათა მიღების ჟამი“, შემდეგ კი მისი ნაშრომები „ევროპის ფორმირებისათვის“, „დიდი ბრიტანეთის მემკვიდრეობის შესახებ“, „აღმოსავლეთ ევროპა“, „ოცნებითგან ვიდრე საქმემდე“ და სხვა. ყველა ზემოჩამოთვლილი წიგნი ეძღვნება კონტინენტური ევროპის კვლევას, მის წარსულს, აწმყოსა და მომავალს და არის გეოპოლიტიკური შინაარსის.



ალექსანდრე ნიკურაძე

ალექსანდრე ნიკურაძის წიგნში „ოცნებიდგან ვიდრე საქმემდე“ (1951) მოცემულია ნათელი დებულებანი ევროინტეგრაციის იდეისათვის და ევროპის მომავლისათვის, ასევე საქართველოს ისტორიისათვის. 1951 წლის სექტემბერში მან პარიზის ქართულ სათვისტომოში წაიკითხა მოხსენება „ზოგადი სურათები ქართულ-ევროპული წარსულიდან“, სადაც გამოთქმული იყო ორიგინალური იდეები.

1952 წლის 22-24 სექტემბერს საფრანგეთში, ქ. კომპიენთან ალექსანდრე ნიკურაძის ინიციატივით „ლა ბრევიერის“ სასახლეში შედგა ევროპელ მეცნიერთა კონგრესი, რომელსაც დაესწრნენ მეცნიერები საფრანგეთიდან, გერმანიიდან, იტალიიდან, ინგლისიდან, შვეციიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. კონგრესის საგანი იყო ევროპული საკითხების მეცნიერული კვლევაძიება. სხვა წინადადებათა შორის კონგრესმა მიიღო პროფესორ ალექსანდრე ნიკურაძის აზრის ცნება **„ევროპოლოგიის“** შემოღების შესახებ, რომელიც წარმოადგენს ევროპული სხვადასხვა მეცნიერული დარგების თავმოყრას და ერთ სასწავლებლად ჩამოყალიბებას (კონგრესის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა პროფესორი მიხეილ მუსხელიშვილიც).

1956 წელს პარიზში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნდა მისი ნაშრომი „არგონავტების მითი“. მაღალი დონით გამოირჩევა მისი ნაშრომები: „ქართული არქიტექტურის საკითხისათვის შუა საუკუნეების ევროპულ აღმოსავლეთში“, „სკანდინავიელები და ქართველები პონტო-ბალტიის სანაპიროზე“, „დოქტორი ოტო ფონ ვეზენდოკი — როგორც ქართველოლოგი“. „დასავლეთ ევროპის რომანული არქიტექტურისა და ქართული არქიტექტურის პარალელების ახსნის სახით“, „სუმერთა პირვანდელი ადგილსამყოფელის საკითხისათვის (კავკასია შესაძლოა, პირველი სამშობლოა სუმერთა ლითონის)“ და სხვა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ევროინტეგრაციისა და ევროპოლოგიის განვითარებაში შეტანილია ქართული წვლილიც, რითაც შეგვიძლია, ვიამაყოთ.

ვაჟა შუგითიძე

უცნობი გენერალისიმუსი...

რუზველტი და ჩერჩილი

ყირიმის კონფერენციის შემდეგ სტალინმა დაიბარა მამაჩემი და ეუბნება: „საშა, მინდა, ერთი დიდი საქმე დაგავალო. რუზველტი აქ რომ იყო, საუბრისას ასე მითხრა, ომი რომ დამთავრდება, დასასვენებლად ჩამოვალო. მინდა, ყველა პირობა შეიქმნას იმისათვის, რათა არჩევანი ჰქონდეს. ამისთვის დაცვის მთავარ სამმართველოსთან სახელმწიფო აგარაკების სამმართველოს შევქმნით, რომლის მმართველიც შენ იქნები. დანარჩენ აგარაკებს შორის ლივადიისა და იუსუპოვის სასახლეებიც იქნება. მოკლედ, რაც ყირიმში მოგეწონება, არაფერი გამოტოვო. რუზველტს საშუალება უნდა მივცეთ, სადაც მოეწონება, თვითონ ამოირჩიოს. ვთქვათ, ლივადიაშია და სადმე წასვლა მოესურვა, მაგრამ, იმის გამო, რომ ავად არის და გადაადგილება არ შეუძლია, სადგურებს შორის შუა სადგურებიც იქნება საჭირო, სადაც რამდენიმე საათით ან ორი-სამი დღით შესვენება შეეძლება... ეს დავალება რომ მიიღო, მამა წავიდა. მალე სამმართველოც შეიქმნა, მაგრამ ყველას ისე უნდა სცოდნოდა, თითქოს ეს ყველაფერი რუზველტისთვის კი არა, სტალინისთვის კეთდებოდა – სტალინმა ასე შეგნებულად გადაწყვიტა.

– რუზველტი, მართლაც, ძალიან ძლიერი პიროვნება იყო.

– დიახ, ძლიერი პიროვნება გახლდათ. სტალინს მასთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა. თუმცა, მათ შორის იყო რაღაც უთანხმოებებიც გერმანელებთან ამერიკელებმა, დალესის, სეპარატისტული მოლაპარაკებების თაობაზე.

– გიორგი ალექსანდრეს ძევ, თქვენ გინახავთ ჩერჩილი, როგორი შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე, როგორც ადამიანმა?

– ძლიერი ადამიანია, ძლიერი, ძალიან ძლიერი!... რომ გიყურებს, ისეთი გრძნობა გაქვს, ასე გგონია, სულში გწვდება. ჰიტლერზე საუბარი რომ დაიწყეს, მაგიდას ხელი ისე დაარტყა, ასე მეგონა, მაგიდა ნაწილებად დაიშლებოდა. სიბრაზისგან სულ ცოფებს ყრიდა. მოკლედ, დიდი კაცია, მნიშვნელოვანი პიროვნება...

– როცა იქ შვერნიკთან ერთად მიხვედით, როგორ წარადგინეს, როგორ გააცნეს თქვენი თავი?

– როგორც მისი მდივანი... მეორედ ინგლისში 1943 წლის სექტემბრის ბოლოს მოგვიწია წასვლა. მაგრამ, ჩვენი მისია მაშინ სულ სხვა იყო... ჩვენი დელეგაცია მაშინ ლეიბორისტული პარტიის კონფერენციაზე მიიწვიეს, რომელიც ყოველ წელს სექტემბრის ბოლოს და ოქტომბრის დასაწყისში ტარდებოდა, თანაც ყოველთვის ერთსა და იმავე აგარაკზე. მაშინ ჩვენ უკვე ყოველ ნაბიჯზე აღარ გვითვალთვალებდნენ, ვინაიდან ამოცანა ისეთი სერიოზული აღარ იყო. მიგვიღო ჩერჩილმა და იდენმა. იდენი მაშინ ჯერ ისევ საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. პრემიერ-მინისტრი მერე გახდა... მე ზუსტად იდენის ცოლის გვერდით დამსვეს (ვინ სად უნდა დამჯდარიყო, საოიზიტო ბარათები წინასწარ იყო დანომრილი).

– იქ თქვენ რა გვარით იყავით?

– რა თქმა უნდა, ეგნატაშვილი ვარ და ეგნატაშვილის გვარით... იდენის ცოლმა მკითხა, რა პროფესიის ხართო? ვუთხარი, შოფერი ვარ-მეთქი... მერე პორტებისა და ტრანსპორტის მუშათა პროფკავშირების თავმჯდომარემ მიგვიღო... გადავუფრინეთ თეირანს, კაიროს, გიბრალტარს, კაიროში ინგლისის ელჩთან ვიყავით სტუმრად – ინგლისის ელჩი რატომღაც პოლონელი იყო. საბჭოთა კავშირს ეგვიპტესთან ურთიერთობა არ ჰქონდა, სწორედ ამიტომ მოგვიწია ელჩთან სტუმრობა... ელჩმა ნიკოლაი მიხაილოვიჩი ვახშმად რესტორანში დაპატიჟა. ის საღამო მისი სურვილით ბუნების წიაღში გავატარეთ. შვერნიკმა ვახშმად იქ მეც წამიყვანა. მაგიდასთან მხოლოდ სამნი ვისხედით. ელჩმა იმ საღამოს ასე თქვა – ომი რომ დამთავრდება, სტალინი ბრძანებას გასცემს და სამხედრო მრეწველობა მთლიანად სამოქალაქო

გახდება, რაც ჩვენ ცუდ დღეში ჩაგვაგდებს, ვინაიდან ეს დიდ სიძნელეებთან არის დაკავშირებულიო.

რეპრესიები

– გიორგი ალექსანდრეს ძევ, ცოტა ხნის წინ სიბინძურის მეორე ტალღამ ჩაიარა, პირველი სამოციან წლებში იყო, ახლა კი ოკეანეს გადაევლო და ყველაფერი ლაფში ამოსვარა... მათ რომ ჰკითხო, ყველაფრის თავი და თავი სტალინი ბრძანდებოდა, ყველას მისი სანქციით იჭერდნენ – ის იჭერდა, ის ხსნიდა და ის ნიშნავდაო... თქვენ რას იტყვით – იაგოდა, ენუქიძე, ეჟოვი, ბერია – როგორი შეხედულების ხართ მათზე? დაჭერები რომ იყო, ეს ფაქტია, მაგრამ რა იყო ეს?

– იყო ის, რომ... ხმები, რომელიც ვრცელდებოდა, სტალინის წინააღმდეგ, იყო გამიზნული, ვინაიდან, მისი გადაყენება უნდოდათ... ტუხაჩევსკიზე ეჭვი წუთითაც არ მეპარება – როცა ის გერმანიაში გენერალურ შტაბში მუშაობდა, როგორც ჩანს, მიხვდნენ, ვინც ბრძანდებოდა!

ერთი ასეთი ამბავი მახსენდება: მაშინ სამხედრო ფაკულტეტზე ვსწავლობდი. უცებ... არ ვიცი, გენერალი, არ ვიცი კომისარი, მოკლედ, არ ვიცი, რა ჩინის იყო, ნიკიტინმა თავი მოგვიყარა და გვეუბნება – აი, ეს პატიმრები, აი, ესა და ეს, მოღალატეები არიანო... სწორედ ამ დროს მოვიდა „ემკა“, გადმოვიდნენ იქიდან ჩეკისტები და თავად ნიკიტინი დააპატიმრეს პირდაპირ ჩვენ თვალწინ. აი, ასე იყო, ასეთი იყო ის „ტალღა“... როგორც ჩანს იმ ყველაფერს სამხედროები ამზადებდნენ...

„პრავდაში“ გამოქვეყნებული იყო ინფორმაცია, რომელიც იტყობინებოდა ტუხაჩევსკიმ აღიარა, შეთქმულება ემზადებოდა არა სტალინის წინააღმდეგ, არამედ ვოროშილოვის წინააღმდეგო. მე თქვენ გეკითხებით, თუ შეთქმულება ვოროშილოვის წინააღმდეგ იყო, ეს ნიშნავს, თუ არა იმას, რომ უნდოდათ არმია, ანუ მთავარი ძალა ჩამოეცილებინათ სტალინისთვის. მაშინ რა შეუშლიდათ ხელს სტალინის ჩამოსაშორებლად? ისე რომ, შეთქმულება ვოროშილოვის წინააღმდეგ იგივე სტალინის წინააღმდეგ შეთქმულებას ნიშნავდა. ეს, რა თქმა უნდა, მიზანმიმართული ბრძოლა იყო... ძნელია იმის თქმა, რომელი კვალი საით მიდიოდა... გამორიცხული არ არის, შეთქმულება უფრო დიდი და ფართო იყო. ვიდრე დღეს წარმოგვიდგენია. მიდიოდა მკაცრი, დაუნდობელი ბრძოლა... და კიდევ... როცა ლაპარაკობენ, მტკიცებულებას მოკლებულ დაუსაბუთებელ რეპრესიებზე, თუნდაც იმის თქმაც საკმარისია, რომ თითოეულ ცალკეულ შემთხვევაზე სტალინი პასუხისმგებელი ვერ იქნებოდა... აი, მაგალითად, მე დამაპატიმრეს, მაგრამ მოიძებნა ადამიანი, რომელიც მოვიდა და მე მას პირდაპირ ვუთხარი: „თუ მაქვს იოტისოდენა დანაშაული, თუ არსებობს უნდობლობის თუნდაც მცირეოდენი ეჭვი, ან არა სიყვარული, ანდა რაღაც ამდაგვარი, მზად ვარ მასთან ერთად მოვკვდეთ-მეთქი“. ამის შემდეგ სტალინმა დაუყოვნებლივ გამათავისუფლა... კალივანოვის მოგონებებში ასეთი რამ წერია: სტალინთან რომ მივედი და ვუთხარი, ციხეში ესა და ეს უდანაშაულო მფრინავი ზის, რომელიც ბელადისთვის თავს დადებს-მეთქი, სტალინმა განკარგულება გასცა და რამდენიმე დღეში ის კაცი უკვე ჩემს განკარგულებაში იყოო... ესე იგი, თუ გამოგიჩნდებოდა ვინმე ისეთი დამცველი, ვინც შენ სიმართლეს ირწმუნებდა, დაიჯერებდა, რომ უსამართლოდ ისჯებოდი, სტალინი ზომებს დაუყოვნებლივ იღებდა... მაგრამ, მოგეხსენებათ, ყველას ვერ გასწვდები.

ებრაული საკითხი და სტალინი

სტალინი ანტისემიტი არ ყოფილა, ის სიონისტების წინააღმდეგი იყო. ეს თითქოს ჩრდილს ჰფენდა, მაგრამ, იყო სიონიზმის წინააღმდეგი, არ ნიშნავს, რომ ებრაელების წინააღმდეგი ხარ. კაგანოვიჩი ხომ ჰყავდა გვერდით! ებრაელების დეპორტაცია რომ სდომებოდა, პირველ რიგში, კაგანოვიჩს მოიშორებდა... სისულელეა, სისულელე!... სტალინი საკმაოდ ჭკვიანი ადამიანი იყო, ამას მშვენივრად მიხვდებოდა. მართალია, ომის დროს ზოგიერთი ეროვნების ადამიანებს დეპორტაცია მოუწია და ის ბრალდებაც სწორედ ამას ეფუძნებოდა, მაგრამ ამ ყველაფერს თავისი მიზეზი ჰქონდა... მაგალითად, პოვოლჟიელი გერმანელები! ქ. ენგელსში ხომ იყო შემთხვევა, როცა ისინი საჯაშუშოდ შემოგზავნილ პარაშუტისტს მალავდნენ! ამიტომაც მათი ნდობა, რა თქმა უნდა, აღარ შეიძლებოდა. აქ საქმე ეხებოდა არა პირად ინტერესებს, არამედ როგორც სტალინის, ისე ხალხის ყოფნა-არყოფნას და ცალკეული ადამიანების გამო არ შეიძლებოდა ის საქმე ეჭვქვეშ დამდგარიყო, რისთვისაც იოსებ ბეარიონის-ძე მთელი სიცოცხლე იბრძოდა.

ის, რომ სიონისტური მოძრაობა ნამდვილად არსებობდა, ვფიქრობ, ხედავთ, ფაქტია. რა თქმა უნდა, თითოეულ ფაქტში გარკვევაა საჭირო, მაგრამ, მთავარია, ვინ გაარკვევს, ვინ დადებს დასკვნას... ხელისუფლებაში საკმაოდ ბევრი ებრაელი იყო. შეიძლება ეს იმიტომ, რომ რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში ძალიან ბევრმა ებრაელმა მოიყარა თავი და, როგორც ჩანს, ისინი სიონისტური ორგანიზაციის მეშვეობით შესაბამის მუშაობას ეწეოდნენ, რასაც მათი ლიკვიდირება მოჰყვა... პირადად მე ანტისემიტიზმის წინააღმდეგი გახლავართ. მაგრამ ის, რომ ებრაელების დიდი რაოდენობა უჭერდა მხარს სიონისტურ ორგანიციას, ფაქტია.

(გაგრძელება იქნება)

სტალინი. პირადი ცხოვრება

ვიოლინი ეგნატაშვილის მოგონებები

(ჩაიწერა ვ.მ. ლოგინოვმა)

დასაწყისი იხ. № 65-125

დედამიწის ზურგზე

მიუნხენში უცნობებმა შეურაცხყვეს სტეპან ბანდერას საფლავი

კვარცხლბეკსა და მასზე დაყენებულ ბენდერას ძეგლს ლვოვშიც შეასხეს შავი საღებავი და თხევადი რუბეროიდი. ეს უკვე მესამე ამგვარი ინციდენტია 2015 წლის დასაწყისიდან. 2015 წლის მაისში უცნობებმა დათხაპნეს მისი სამარხის ადგილი. მანამდე ანალოგიური ინციდენტი მოხდა იმავე წლის თებერვალში.

სამხრეთ სუდანში ჩინელი მშვიდობისმყოფელი დაიღუპა, აშშ დიპლომატების ევაკუაციას ანარმოებს

სამხრეთ სუდანის დედაქალაქ ჯუბეში სისხლიანი შეტაკების შემდეგ, რომლის დროსაც 270-ზე მეტი კაცი დაიღუპა, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იაპონიის ხელისუფლებებმა მიიღეს გადაწყვეტილება გაიყვანონ თავისი პერსონალის ნაწილი ქვეყნიდან. ჩინეთში იტყობინებიან მშვიდობისმყოფელთა მანქანისთვის ცეცხლის გახსნის შესახებ, ერთ-ერთი მათგანი დაიღუპა, 6 დაიჭრა.

ჩინეთის ქალაქი სუიფენხე ზღვისპირეთის საზღვართან რუსეთის რუბლის დაცემის შემდეგ თავისუფლდება ფირნიშებისგან

კრიზისამდე ქალაქი იყო ყველაზე პოპულარული ადგილი ზღვისპირელებისათვის შოპინგ-ტურიზმის გამო. ახლა სუფენხეში შეაქვთ რუსული საქონელი, ფირნიშები კი რუსულ ენაზე სულ უფრო ცოტა და ცოტა ხდება. ტურისტული ფირმის ხელმძღვანელების სიტყვებით, რუსეთიდან ტურისტების ჩამოყვანა ხელსაყრელი აღარ არის.

კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა დაიმუქრა, მიიღოს „ფიზიკური“ საპასუხო ზომები სამხრეთ კორეაში რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემის გაფართოების გამო.

კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში აღნიშნეს, რომ ქვეყნის არტილერიას აქვს დარტყმის მიყენების უკანასკნელი თანამედროვე საშუალებები, რომელთა დახმარებითაც იგი მიიღებს შესაბამის ზომებს ამერიკის შეერთებული შტატების წინაალმდეგ, „რომელიც აჩაღებს ომს“ რეგიონში შესაბამისი სისტემების განთავსებით. თავის მხრივ, სამხრეთი კორეა მეზობელი ქვეყნის საფრთხის საპასუხოდ დაიმუქრა „ძლიერი შურისძიებით“.

პორტუგალიელი ფეხბურთის ფანატების სეირნობა მათი ქვეყნის გამარჯვების შემდეგ პოლიციასთან შეტაკებაში გადაიზარდა

ყველაფერი საკმაოდ მშვიდობიანად დაიწყო: გულშემატკივრები აქნევდნენ თავისი ქვეყნის დროშებს, ერთმანეთს ეხვეოდნენ და სიხარულით ყვიროდნენ. შემდეგ, სამწუხაროდ, საქმეში ხულიგნები ჩაერთვნენ, რომლებმაც დაიწყეს პოლიციელების პროვოცირება. შედეგად წესრიგის დამცველები იძულებული იყვნენ, გამოეყენებინათ ცრემლსადენი გაზი და რეზინის ხელკეტები.

აღმოსავლეთის მზარდი მადის გამო...

გასულ საფინანსო წელს, ამერიკული იარაღის გაყიდვის ზრდამ დაახლოებით 36 პროცენტი შეადგინა. წელს ამერიკელი სამხედროები ასევე ელოდებიან საგრძნობ შედეგებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების „მზარდი მადის“ წყალობით.

ინფორმაცია თელავის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების უპირობო საჯარო აუქციონის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. **თელავის მუნიციპალიტეტი აცხადებს აუქციონს შემდეგ უძრავ ქონებაზე:**

ლოტის №	ქონების დასახელება და ადგილმდებარეობა	ფართობი (კვ.მ.)	სკკადასტრო კოდი	საწყისი ფასი (ლარი)	„ბე" (ლარი)	ბიჯი (ლარი)	მონაწილის ბილეთის ფასი (ლარი)
ლოტი №1	თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ იყალთოში მდებარე სასოფლო - სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი	21355	53.12.32.127	8400	2520	840	30

2. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა. შევსებული განაცხადი;

ბ. „ბე"-ს გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი; „ბე"-ს გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ს.ს. ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი LBRTGE22, ანგარიშის ნომერი GE90LB0120153513276003, მიმღების დასახელება: თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტი;

გ. მონაწილის ბილეთის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის გადახდაც უნდა მოხდეს შემდეგ რეკვიზიტებზე: ხაზინის ერთიანი ანგარიში, ბანკის კოდი TRESGE22, სახაზინო კოდი 300863282;

დ. პასპორტის ან პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ე. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ მონაწილე მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ვ. სადამფუძნებლო დოკუმენტაციის ასლები და მოქმედი ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან (იურიდიული პირის შემთხვევაში).

3. აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ფიზიკურ ან იურიდიულ პირს ან ასეთ პირთა გაერთიანებას, რომლის ქონებაშიც მუნიციპალიტეტის ან საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს მონაწილეობის წილი 25 პროცენტზე ნაკლებია.

4. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, მის მიერ აუქციონზე შეძენილი ქონების სრული ღირებულება გადაიხადოს ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერიდან 15 კალენდარული დღის ვადაში. წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება, მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე"-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

5. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ქონების შესაძენად მაქსიმალური ფასის (არანაკლებ საწყის ფასზე „ბიჯი"-ს დანამატით მიღებული თანხის) გადახდა და აუქციონის პირობების დაკმაყოფილება.

6. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განაცხადების მიღება წარმოებს აუქციონის გამოცხადების დღიდან, 2016 წლის 11 ივლისიდან 2016 წლის 09 აგვისტომდე, ყოველ სამუშაო დღეს 09:00 საათიდან 18:00 საათამდე, ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 09:00 საათიდან 12:00 საათამდე. აუქციონი ჩატარდება 2016 წლის 09 აგვისტოს დღის 13:00 საათზე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: ქალაქი თელავი, ერეკლე II-ის გამზირი №16).

7. დამატებითი ინფორმაცია ობიექტისა და აუქციონის პირობების შესახებ შეგიძლიათ მიიღოთ ქალაქ თელავში, ერეკლე II-ის გამზირ №16-ში მდებარე თელავის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობის I სართულზე, ტელ: 0350-23-21-90.

გამგებელი ალექსანდრე შათირიშვილი

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 21%-ით გაიზარდა

ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტში მგზავრთნაკადი 21%-ით გაიზარდა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს მონაცემებით, 2016 წლის იანვარ-ივნისში ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 95 ათას 430 მგზავრს მოემსახურა, 2015 წლის იანვარ-ივნისში კი 78 ათას 859 მგზავრს, შესაბამისად ზრდამ 16 ათას 571 მგზავრი, ანუ 21,01 %-ი შეადგინა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოში აცხადებენ, რომ წლევანდელი მაჩვენებლებით ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტი 15 %-ით ნაკლებ მგზავრს მოემსახურა, ვიდრე 2014 წლის იანვარ-ივნისში. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 2014 წლის ექვს თვეში აეროპორტმა 112 ათას 194 მგზავრი მიიღო, შესაბამისად სხვაობამ -15%-ი შეადგინა.

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა 47.14%-ით მეტი მგზავრი გაატარა

ბათუმის საერთაშორისო აეროპორტს მგზავრთა რაოდენობა მნიშვნელოვნად გაეზარდა. სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს ინფორმაციით, 2016 წლის იანვარ-ივნისში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 92 ათას 682 მგზავრს მოემსახურა, 2015 წლის იანვარ-ივნისში კი 62 ათას 987 მგზავრს. შესაბამისად მიმდინარე წლის არსებული მაჩვენებლებით, ბათუმის საერთაშორისო აეროპორტმა 47.14%-ით მეტი მგზავრი გაატარა. სტატისტიკური ინფორმაციის მიხედვით, მიმდინარე წლის ექვს თვეში ბათუმის საერთაშორისო აეროპორტი 23.83%-ით მეტ მგზავრს მოემსახურა, ვიდრე ეს 2014 წლის ექვს თვეში დაფიქსირებული მაჩვენებელი იყო.

შეგახსენებთ, რომ 2016 წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, საქართველოს აეროპორტები 21,33%-ით მეტ მგზავრს მოემსახურა. კერძოდ მიმდინარე წელს, საქართველოს აეროპორტების მიერ რეგულარული და ჩარტერული რეისების შედეგად სულ გადაყვანილ იქნა 1 მლნ 82 ათას 828 მგზავრი, რაც 21,33%-ით აღემატება წინა წლის ანალოგიურ მონაცემებს (892 468 მგზავრი).

სსიპ – ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი აცხადებს კონკურსს შემდეგი თანამდებობების დასაკავებლად

1. მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფის უფროსი - 1 სრული საშტატო ერთეული;

2. ინჟინერ - მექანიკოსი (მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის ჯგუფში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

3. საკონტროლო - გამზომი ხელსაწყოების ჯგუფის უფროსი - 1 სრული საშტატო ერთეული;

4. ინჟინერ - ელექტრიკოსი (საკონტროლო - გამზომი ხელსაწყოების ჯგუფში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

5. სანტექნიკოსი (მექანიკურ სახელოსნოში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

6. სამეცნიერო პროგრამების, ტექნოლოგიების კომერციალიზაციისა და გრანტების ცენტრის მენეჯერი - მკვლევარი მთავარი სპეციალისტი - 1 სრული საშტატო ერთეული;

7. სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზისა და სარედაქციო ჯგუფის უფროსი - 1 სრული საშტატო ერთეული;

8. ბიბლიოთეკარი (სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზისა და სარედაქციო ჯგუფში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

9. ლაბორანტი (სამეცნიერო ინფორმაციის ანალიზისა და სარედაქციო ჯგუფში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

10. მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (ბორშემცველი და კომპოზიციური მასალების ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

11. მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიაში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

12. მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორიაში) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

13. მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორიაში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

14. მკვლევარი - მთავარი სპეციალისტი (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

15. მკვლევარი - უფროსი სპეციალისტი (ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

16. მკვლევარი - უფროსი სპეციალისტი (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

17. მკვლევარი სპეციალისტი (ლითონმცოდნეობისა და ლითონების კოროზიისაგან დაცვის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

18. მკვლევარი სპეციალისტი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

19. მკვლევარი სპეციალისტი (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

20. მკვლევარი სპეციალისტი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

21. მკვლევარი სპეციალისტი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორიაში) - 1 სრული საშტატო ერთეული;

22. მკვლევარი სპეციალისტი (სადნობ - საჩამომსხმელო უბანი) - 1 სრული საშტატო ერთეული;

23. უფროსი ინჟინერი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

24. უფროსი ინჟინერი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

25. ინჟინერი (ბორშემცველი და კომპოზიციური მასალების ლაბორატორია) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

26. ინჟინერი (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

27. ინჟინერი (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

28. ინჟინერი (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

29. ინჟინერი (პირომეტალურგიის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

30. ინჟინერი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

31. ინჟინერი (სადნობ - საჩამომსხმელო უბანი) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

32. ტექნიკოსი (არაორგანული მასალების ქიმიური და ფიზიკურ - ქიმიური ანალიზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

33. ტექნიკოსი (ლითონური მასალების წნევით დამუშავების ლაბორატორია) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

34. ტექნიკოსი (ნახევარგამტარული მასალამცოდნეობის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

35. ტექნიკოსი (ბათუმის კოროზიული კვლევების პოლიგონი) - 1 სრული საშტატო ერთეული;)

36. ლაბორანტი (თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის ლაბორატორია) - 1 სრული საშტატო ერთეული;

37. ლაბორანტი სადნობ - საჩამომსხმელო უბანი - 1 სრული საშტატო ერთეული;

38. ლაბორანტი (ბათუმის კოროზიული კვლევების პოლიგონი) - 1 არასრული საშტატო ერთეული;

დამატებითი ინფორმაცია

1. სამუშაო აღწერები და თანამდებობრივი სარგო თვითოეულ თანამდებობაზე იხილეთ ინსტიტუტის ვებ-გვერდზე (www.mmi.ge)

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ან ატვირთონ PDF ფორმატში:

2. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ (www.mmi.ge)

3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

4. ავტობიოგრაფია/CV

5. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი

საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ-ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და მასალათმცოდნეობის ინსტიტუტში, მისამართზე — ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. №10, ოთახი №7 და 12 ან ელექტრონულად ელ.ფოსტაზე info@mmi.ge 2016 წლის 10 აგვისტოდან 12 აგვისტოს ჩათვლით. კონკურსის ჩატარების ზუსტ თარიღს გაცნობებთ ელ.ფოსტის ან ტელეფონის საშუალებით.

დამატებითი ინფორმაციისათვის ეწვიეთ www.mmi.ge, ან დარეკეთ ტელეფონზე 2380716; 577392776; 2371448; 599388315

◎ წინ, საქართველო!

ჩვენი დროც დაბრუნდა

თითქმის ნახევარი საუკუნე გავიდა მას შემდეგ, რაც უიმბლდონის ვაჟთა ერთეულთა თანრიგის ფინალში პირველმა და ჯერ-ჯერობით ერთადერთმა ქართველმა ჩოგბურთელმა ალექსანდრე მეტრეველმა ითამაშა.

ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გამოჩნდა თანამემამულე, რომელიც ლეგენდარული წინამორბედის გაკვალულ ბილიკს შეუყვა

და ბევრისთვის სანუკვარ მიჯნას უწია.

საუბარია მარიამ ბოლქვაძეზე, რომელმაც ამერიკელ კეტი მაკლეინთან ერთად წარმატებით იასპარეზა დიდი მუზარადის ყველაზე პრესტიჟული ტურნირის 18-წლამდელ გოგონათა წყვილთა თანრიგში და მხოლოდ გადამწყვეტი ბრძოლა დათმო ამერიკულ დუეტთან.

დარწმუნებულნი ვართ, ქართველი ვუნდერკინდის მორიგ მიღწევებზე საუბარი კიდევ არაერთხელ მოგვიწევს.

* * *



წლეულს ავსტრალიის ღია პირველობის ფინალში გერმანელმა ანჟელიკ კერბერმა სენსაციური მარცხი აგემა სერენა უილიამსს და კარიერაში პირველი გრანდ სლემი მოიგო.

ფერხორციან ამერიკელს რევანშის შანსი ინგლისის დედაქალაქში მიეცა და მანაც ჩინებულად ისარგებლა შემთხვევით. 7:5, 6:3 — ასეთია სატიტულო ბრძოლის შედეგი. ეს იყო სერენას მეათე ფინალი ბრიტანულ კორტზე და მეექვსე გამარჯვება.

კიდევ ერთხელ გაახარა კუნძულელები შოტლანდიელმა ენდი მარეიმ, რომელმაც სამი პარტია იკმარა ასე მაღლა პირველად აფრენილი კანადელი მილოშ რაონიჩის დასამარცხებლად — 6:4, 7:6, 7:6.

გამოჩენილ ჩეხ ჩოგბურთელ ივან ლენდლთან თანამშრომლობამ ენდის პირადი მონაგარი სოლიდური გახადა. თერთმეტიდან სამი მოგებული მეიჯორის ფინალი (ორი უიმბლდონი და აშშ-ის ღია პირველობა), ოლიმპიური „ოქრო“ და უამრავი „მასტერზი“ — ასეთია ეს შთამბეჭდავი ნუსხა. გაგრძელება იქნება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ფორმულა — 1

მშობლიური ტრასის მადლი

მსოფლიოს არაერთგზის ჩემპიონმა ლუის ჰემილტონმა „ფორმულა-1“-ის ზედიზედ მესამე ეტაპი, ამჯერად დიდი ბრიტანეთის დიდი პრიზი მშობლიურ სილვერსტოუნის ტრასაზე მოიგო და საერთო ჩათვლაში ჩამორჩენა გერმანელ ლიდერ ნიკო როსბერგთან ერთ ქულამდე შეამცირა.

აღსანიშნავია, რომ „მერსედესის“ პილოტმა უკანასკნელი ხუთი სეზონის განმავლობაში ნისლიან ალბიონზე გამართულ რბოლაში მეოთხედ გაიმარჯვა.

ბადრი იაშვილი

◎ ევრო — 2016

დიახ, პორტუგოლია!

მოგეხსენებათ, პორტუგალიელ ფეხბურთელებს ევროპელ ბრაზილიელებს უწოდებენ. ჰოდა, ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებზე ალალია ის ტიტული, რომელიც XV კონტინენტურ ფორუმზე გამოიჭედა.

დასანანი მხოლოდ ისაა, რომ თანამემამულეთა ტრიუმფს ვერ მოესწრო ლეგენდარული „ შავი ავაზა“, ტომით მოზამბიკელი ეუსებიო.

სამაგიეროდ, ევროპის ჩემპიონთა თასის აღმართვის პატივი გუნდის ღირსეულ კაპიტან კრიშტიანუ რონალდუს ხვდა წილად, თუმცა, ამ მომენტამდე კუნძულ მადეირას მკვიდრს კარგა გვარიანი ცრემლის ღვრა დასჭირდა.

საფრანგეთი — პორტუგალია 0:1

(დამატებით დროში. ძირითადი დრო 0:0)

გოლი: ედერი (109-ე წუთი).

მსაჯი: მარკ კლატენბურგი (ინგლისი).

სიხარულისა თუ გულისტკივილის ცრემლებით სპორტულ სამყაროში ვის გააკვირვებ. აგერ, ახლა არ იყო, კოპა ამერიკის საბედისწერო ფინალის შემდეგ აქვითინებული ლეო მესი „ალბისელესტეს“ რომ გამოეთხოვა?! მისგან განსხვავებით, ლუზიტანიელის ემოციებს სულ სხვა დატვირთვა ჰქონდა.

ფავორიტ ფრანგებთან დასკვნითი ბრძოლა ჯერ ხეირიანად გახურებული არ იყო, პაიესთან შეჯახების შემდეგ სტუმართა ლიდერი ტკივილისგან რომ დაიმანჭა და მინდორი დატოვა. მედპერსონალის ჩარევამ უშედეგოდ ჩაიარა და 25-ე წუთზე ფერნანდუ სანტუშს თამაშში კვარეუმას ჩაბმა მოუწია.

ბევრისთვის პორტუგალიელთა ფინალისტობაც კი სიურპრიზად იქცა — მათ ხომ მთელი ტურნირის განმავლობაში ძირითად დროში მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს. დაუმატეთ ამას რონალდუს შეცვლა და მიხვდებით, რატომაც ჩანდა ამის შემდეგ სტუმართა გამარჯვება სასწაულის ტოლფასი. აღარაფერს ვამბობთ „სამფეროვანთა“ ფეერიულ პლეი-ოფებზე. თურმე, მწარედ ვცდებოდით — ფერნანდუ სანტუშს ისეთი ანსამბლი შეუკრებია, უპირველესი სოლისტის გარეშეც რომ შეძლებია მწვრთნელის მიერ შემუშავებული ტაქტიკის ხორცშესხმა. თანაც, პორტუგალიელებს სულზე მოუსწროთ გამოჯანმრთელებულმა პეპემ, რომელმაც მეკარე რუი პატრისიუსთან ერთად გადაულახავ ბასტიონად ჩამოაყალიბა პარტნიორთა დაცვა.

შეიძლება, კურიოზულად ჟღერდეს ის ფაქტი, რომ მომავალმა ტრიუმფატორებმა მეტოქის კარისკენ პირველი ზუსტი დარტყმა 82-ე(!) წუთზე შეასრულეს. ალბათ, ასეცაა, მაგრამ, ვფიქრობთ, მოვიდა დრო, როცა ანალოგიური შეფასებების გამოთქმისას მოჭარბებული სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. საილუსტრაციოდ ისლანდიელთა და უელსელთა საოცარი აღზევება გამოდგება.

იმედი ვიქონიოთ, რომ ოდესმე ჩვენი ჯერიც დადგება.

გიორგი ზოთაძე

◎ ჩემპიონთა ლიგა

ბოლო იმედი

დღეს 21 საათზე ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე დაიწყება ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველი შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და სომხეთის „ალაშკერტს“ შორის.

მას შემდეგ, რაც ქართულმა ტრიომ „სამტრედიის“, გორის „დილასა“ და საჩხერის „ჩიხურას“ შემადგენლობით სრული კრახი განიცადა ევროპა ლიგის სასტარტო რაუნდში და საერთაშორისო სეზონი სამარცხვინოდ დაასრულა, ჩვენი ქვეყნის შელახული იმიჯის გამოსწორება სწორედ „თეთრლურჯებს“ მართებთ.

რა ვიცით მეტოქის შესახებ?

ქალაქ მარტუნის გუნდი შარშან პირველად გახდა სომხეთის ჩემპიონი, წლევანდელი ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო წრეში კი მხოლოდ საკუთარ მოედანზე დაძლია მოკრძალებული ანდორული კლუბის „სანტა კოლომას“ წინააღმდეგობა — 0:0 და 3:0. ასე რომ, მეზობლებთან დღევანდელ საშინაო მატჩში, წესით და რიგით, პრობლემები არ უნდა შეგვექმნას.

რაც შეეხება მასპინძლებს, ნაყოფიერი უცხოური შეკრების შემდეგ მათ რამდენიმე ახალწვეული დაიმატეს, მათ შორის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი დვალიშვილი.

მოკლედ, ფრანგული ფორუმის დასრულებისთანავე ყველაზე პრესტიჟულ ევროტურნირში ვებმებით — მოსაწყენად ვის სცალია?

კოგა კოგახიძე

ქართველთა და ოსთა შერიგება გარდაუვალია!

მშვიდობის გზავნილები ერგნეთიდან

ბონ ხორზ — დღე მშვიდობისა, ქუდტა დაე — როგორ ხარ? ბუზნიქ ძაბახ - გმადლობთ, კარგად. — ასე, ქართულ-ოსურად, მოიკითხავდნენ ერგნეთში შეკრებილი ძველი ნაცნობები და მეგობრები ერთმანეთს. კარლო ქელეხსაევი საოკუპაციო გამყოფ ხაზთან ახმეტის რაიონის სოფელ ფიჩხოვანიდან ჩამოვიდა. დამსწრე საზოგადოებას ოსურ ენაზე მეგობრობასა და სიყვარულზე უმღერა.

კარლო ქელეხსაევი ამბობს, რომ საქართველოში მცხოვრებ ოსებს ქართველ მეგობრებთან ერთად ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენაში განსაკუთრებული როლის თამაში შეუძლიათ. მისი აზრით, შერიგების პროცესი გარდაუვალია.

ერგნეთის რიტუალების სახლში საოჯახო ალბომებიდან ქართულ-ოსური ურთიერთობის ამსახველი ფოტოები გამოიფინა. ერგნეთის მცხოვრები ლია ჩლაჩიძე, რომელმაც ბავშვობა ცხინვალში გაატარა, თითოეულ ფოტოსთან დიდხანს ჩერდებოდა. ამ ფოტოებზე მან ცხინვალელი თანაკლასელები, პედაგოგები, მეგობრები, მეზობლები და ბავშვობის ექიმიც კი აღმოაჩინა. მისი აზრით, სამწუხარო ისაა, რომ ფოტოებზე დაფიქსირებულ მრავალ ადამიანთან დღეს ურთიერთობა გაწყვეტილია.

„მშვიდობის გზავნილები“ — ასე ეწოდებოდა აქცია-კონცერტს, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „კავკასიურმა მოზაიკამ“ ერგნეთში გამართა. ორგანიზაციის ხელმძღვანელი პროფესორი ნაირა ბეპიევა დიდი ხანია, ქართულ-ოსური ურთიერთობების აღდგენის მიმართულებით მუშაობს. პირველი, რაც მან მეგობრებთან ერთად გააკეთა, ლაგოდეხის რაიონის სოფელ არეშფერანში 90-იან წლებში აფეთქებული კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი აღადგინა. მოგვიანებით მისი თაოსნობით ქართულ და ოსურ ენებზე გამოიცა „ოსური ზეპირსიტყვიერება“, ქართული და ოსური პოეზიის ანთოლოგია, ოსი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის, კოსტა ხეთაგუროვის ძეგლი აღადგინა. ბოლოს კი გამოიცა ქართულ-ოსური და ოსურ-ქართული სასაუბრო. ნაირა ბეპიევას აზრით, ურთიერთპატივისცემის, ურთიერთსიყვარულის და მშვიდობის ზეიმის ხმები ერგნეთიდან ცხინვალშიც აუცილებლად ჩააღწევს.

„კავკასიური მოზაიკის“ მიზანია ერთად წარმოაჩინოს ქართველებისა და ოსების საერთო კულტურული ფასეულობები. ეს პროექტი კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ დააფინანსა. სამინისტროს წარმომადგენელ ალექსანდრე გრიგალაშვილის აზრით, კულტურათა დიალოგის ხელშეწყობა და გამყოფ ხაზთან მცხოვრები ახალგაზრდებისთვის ინფორმაციის მიწოდება, ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ქართული და ოსური სიმღერები და ცეკვები გვიანობამდე გაგრძელდა. სამხრეთ ოსეთის დროებით ადმინისტრაციასთან არსებული ანსამბლი, „ნართები“, მსმენელის წინაშე ქართულ-ოსური რეპერტუარით წარდგა. ღონისძიების დასასრულ იქვე, რიტუალების სახლში, სახელდახელო სუფრაც გაიშალა. ერგნეთელებმა უცბად ქართული ხაჭაპური, ოსური ხაბიზგინი და ჩახარაჟინი გამოაცხვეს. ღვინოც გაჩნდა და მშვიდობის სადღეგრძელოც შეისვა. „კავკასიური მოზაიკა“ მსგავსი პროექტების გაგრძელებას მომავალშიც აპირებს.

გოგა აფციაური

SIC!

ქართული ფარმაცევტული ბაზრის ანომალია

ჯენერიკები (შემცვლელები) ორიგინალ წამლებზე ძვირი ღირს

სპეციალისტები ქართულ ფარმაცევტულ ბაზარზე არსებულ „ანომალიურ“ ტენდენციაზე საუბრობენ: მსოფლიო პრაქტიკისგან განსხვავებით, მთელ რიგ შემთხვევებში საქართველოში ჯენერიკები ორიგინალურ მედიკამენტებზე ძვირი ღირს. „კომერსანტი“ ამ მოვლენის მიზეზებით დაინტერესდა.

რამდენიმე ხნის წინ ჯანდაცვის სამინისტრომ მედიკამენტებზე ფასების შემცირებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის ჯენერიკების სეგმენტი გააფართოვა, რომელიც წესით ბრენდულ წამლებთან შედარებით გაცილებით იაფი უნდა ღირდეს.

თუმცა, ქართულ ბაზარზე პირიქითაც ხდება. რიგ შემთხვევებში ჯენერიკების ფასი ორიგინალის ფასს აღემატება. ამ დასკვნამდე „კომერსანტი“ მას შემდეგ მივიდა, რაც ჯენერიკებისა და ორიგინალი მედიკამენტების ფასი ერთმანეთს შეადარა.

მაგალითად, აღმოჩნდა, რომ სუმამედი, რომელიც ორიგინალი მედიკამენტია, 12 ლარი ღირს, ხოლო ჯენერიკი აზიბიოტის ფასი 17,58 ლარია; ორმიცინის კი — 26,4 ლარი;

დიფლუკანი (ორიგინალი) 10,45 ლარი ღირს, მიკოსისტი (ჯენერიკი) 11 ლარი;

ზირტეკი (ორიგინალი) 14 ლარი ღირს, როლინოზი (ჯენერიკი) კი 19,4 ლარი.

რა განაპირობებს საქართველოში იმ ფაქტს, რომ წამლის შემცვლელი მის ორიგინალზე ბევრად ძვირი ღირს? და ზოგადად, რამდენად ხშირია ასეთი შემთხვევები ბაზარზე?

ქართულ ბაზარზე არსებულ მდგომარეობას „ანომალიურს“

უწოდებს ექსპერტი ფარმაციის საკითხებში თინა ტურძილაძე. მისი თქმით, მსგავსი ანომალიები დაბალი განვითარების ბაზრებისთვისაა დამახასიათებელი.

„ამ ტიპის ანომალიაა ისიც, რომ ზოგიერთ შემთხვევებში ბაზარზე ჯერ ასლი შედის და შემდეგ ორიგინალი, ზოგჯერ ორიგინალი საერთოდაც არ შედის ბაზარზე, მაგალითად, საქართველოში ჯენერიკული ფორმულების მხოლოდ 17—20%-ია მიმოქცევაში, 80%-ზე მეტი ფორმულა საერთოდ არ არის ქართულ ბაზარზე არც ორიგინალის და არც ასლის სახით. ეს და ამ ტიპის ანომალიები ცუდად რეგულირებული განვითარებადი ბაზრებისთვისაა დამახასიათებელი!“, — აცხადებს თინა ტურძილაძე.

სრულიად განსხვავებულია განვითარებული ბაზრების მოცემულობა, სადაც ჯენერიკების მთავარი უპირატესობა მათი ფასია.

„პირველივე ჯენერიკი, რომელიც ბაზარზე გამოდის, საწყის ეტაპზევე ბრენდის ფასის შემცირებას 61%-დან 85%-მდე იწვევს. სამომხმარებლო ფასის ეროზია ინტენსიურად გრძელდება შემდგომ წლებშიც. ფასთა ასეთი სხვაობა მარტივად ასახსნელია, რომ ასლების მწარმოებლების დანახარჯები ორიგინალის მწარმოებლებთან შედარებით ძალიან დაბალია არა მარტო იმიტომ, რომ ასლებს ორიგინალებისაგან განსხვავებით არ მოეთხოვებათ კლინიკური კვლევების სრული ციკლი, არამედ იმიტომაც, რომ ისინი პრაქტიკულად უკვე ფორმირებულ სეგმენტში შედიან, თითქმის არ აქვთ კომერციული რისკები და არც ექიმების და პაციენტების აზრის ფორმირებისთვის სჭირდებათ ისეთი ფინანსური რესურსი, როგორიც ორიგინალს. ჩვენს შემთხვევაში, როცა ბაზარზე ორიგინალი არ არის, ჯენერიკებს უწევთ ამ ხარჯის გაწევა?!“, — აცხადებს ტურძილაძე.

ექსპერტი მიჩნევს, რომ ამ და მსგავსი პრობლემების მოგვარებისთვის პირველ ეტაპზე რეგულირების სისტემის რეფორმირებაა საჭირო, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას — ორიგინალს, ჯენერიკს, სიმილატს და მხოლოდ ამის შემდეგაა ეფექტური ხარჯების შეკავების ღონისძიებები.

„საქართველოს სამედიცინო ასოციაციების გაერთიანების“ აღმასრულებელი მდივანი არჩილ მორჩილაძე საკითხის მიმართ რადიკალურად არის განწყობილი. მისი თქმით, ფირმებმა, რომლებიც მსგავს ნაბიჯებს დგამენ და ჯენერიკებს უფრო ძვირად ყიდიან, ქართულ ბაზრზე ფეხი ვერ უნდა მოიკიდონ.

„ამაში საზოგადოებრივი ჯანდაცვის თვალსაზრისით მოსახლეობის განათლებამ მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშოს. უხეშად რომ ვთქვათ, თავად მოქალაქეს შეუძლია გადაამოწმოს, რა ღირს იგივე შემადგენლობის ორიგინალი პრეპარატი და არ გადაიხადოს უფრო მეტი ჯენერიკში, რომელიც გაცილებით იაფი უნდა ღირდეს“, — აცხადებს არჩილ მორჩილაძე.

commersan.ge

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რესტორან „ბერმუხას“ საწარმოო პროცესი შეუჩერა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ რესტორან „ბერმუხას“ საწარმოო პროცესი შეუჩერა. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა რუსთავის 24-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების მოწამვლის ფაქტთან დაკავშირებით მიმდინარე კვლევის ფარგლებში, რესტორან „ბერმუხადან“ მზა კერძების ნიმუშები აიღეს და ლაბორატორიული კვლევისთვის აკრედიტებულ ლაბორატორიაში გადააგზავნეს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით, კვლევის შედეგად გამოვლინდა მიკრობიოლოგიური პარამეტრების დარღვევა, კერძოდ, ოქროსფერი სტაფილოკოკი (S. Aureus), მეზოფილურ-აერობული და ფაკულტატურ-ანაერობული მიკროორგანიზმები, ნაწლავის ჩხირის ჯგუფის (E.coli) ბაქტერიები.

აღნიშნულთან დაკავშირებით, რესტორანში განხორციელდა არაგეგმური ინსპექტირება, გამოვლენილი კრიტიკული შეუსაბამობების გამო, მზა კერძების მომზადების საწარმოო პროცესი შეუჩერდა და კანონმდებლობის შესაბამისად დაჯარიმდა.

ყური მიუგდეთ ლევან დადიანს!

საგანგაშო პროგნოზი
საკვებზე შეზღუდული წვდომის გამო მომავალი თაობის ჯანმრთელობა საფრთხის წინაშეა

საერთაშორისო ორგანიზაცია „ოქსფამის“ კვლევის მიხედვით საქართველოში სასურსათო უსაფრთხოების სტატუსი დაბალია და 10 კატეგორიის სასურსათო პროდუქტიდან, რომელიც ადამიანმა უნდა მიიღოს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ჯანმრთელობა, ხელმისაწვდომი მხოლოდ 5 პროდუქტია. „ოქსფამის“ საქართველოს წარმომადგენლობის სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების პროექტის მენეჯერი ლევან დადიანი, „კომერსანტთან“ ამბობს, რომ კვლევაში საგანგაშო შედეგია, რადგან რეალურად ვიტამინებით მდიდარ საკვებზე — ხორცზე, თევზზე წვდომა შეზღუდულია, განსაკუთრებით ბავშებში და მოზარდებში.

მისივე თქმით, რთული მდგომარეობაა ქალების კატეგორიაში, რომელიც არის ნუტრიციული გადაწყვეტილების მთავარი მიმღები ოჯახში და ირკვევა, რომ ის შეგნებულად იკლებს საკვებს იმისათვის, რომ გამოკვებოს ოჯახის წევრები. შედეგად ამ 5 პროდუქტიდან ქალი 3-4 პროდუქტს სწვდება. დადიანი ამბობს, რომ მთავრობამ პოლიტიკა ამ მიმართულებით უნდა დაგეგმოს, რომ გრძელვადიან პერიოდში გამოსწორდეს მდგომარეობა და აქცენტი გაკეთდეს ადგილობრივ წარმოებაზე. მისივე თქმით, საქართველოში მწარმოებლურობა, კონკურენტუნარიანობა დაბალია და ქვეყანა დამოკიდებულია იმპორტზე. საჭიროა მცირე გლეხობაზე ორიენტირებული პოლიტიკა. ლევან დადიანის თქმით, საქართველოში სოფლად მოყვანილი პროდუქტი გაცილებით ჯანსაღია, ვიდრე იმპორტირებული, რომელიც უვნებლობის კუთხით საეჭვო ფაქტორებს მოიცავს. „ოქსფამის“ წარმომადგენლის მონაცემებით, დღეს ბაზრის 70% გაჯერებულია იმპორტირებული პროდუქციით და გამოდის, რომ 2 მილიარდი, რასაც წელიწადში ქვეყნის მოსახლეობა სურსათზე ხარჯავს, ქვეყნიდან გაედინება. ამიტომ, მისი თქმით, საჭიროა გეგმაზომიერი პოლიტიკა და ამის მზაობა დღეს მთავრობაში არის.

დადიანის განცხადებითვე, სასურსათო უსაფრთხოების დაბალი მაჩვენებელი ნიშნავს, რომ გრძელვადიან პერიოდში ბავშვებში იქნება ზრდის შეჩერება, გონებრივი ჩამორჩენილობა, ანემია, ანუ თუ დროულად არ მოგვარდა ეს პრობლემები, ნელ-ნელა გაიზრდება თაობა, რომელიც იქნება დეგრადირებული ფიზიკურად და გონებრივად. ეს კი საფრთხეს თავად ქვეყნის განვითარებას შეუქმნის.

„ოქსფამი“ წარმოადგენს მსოფლიო მასშტაბით მოქმედ საქველმოქმედო ორგანიზაციას, რომელიც ცდილობს ადამიანების ცხოვრების დონის გაუმჯობესებას. ორგანიზაცია 1942 წელს დაარსდა გაერთიანებულ სამეფოში — დიდ ბრიტანეთში.

„ოქსფამი“ დახმარებას უწევს დაუცველ ადამიანებს და თემებს მთელ რეგიონში საკვებით უზრუნველყოფილი მომავლის მშენებლობაში, კლიმატის ცვლილების პირობებში.

დემეტრე შერვაშიძე

უპილოტო ტრაქტორები და მწყემსი დრონები

რობოტები სოფლის მეურნეობიდან ადამიანებს დევნიან

რობოტები მსოფლიო ეკონომიკაში, მათ შორის სოფლის მეურნეობაში სულ უფრო აქტიურ როლს ასრულებენ. მკვლევარების განცხადებით, ამ მხრივ რადიკალურ ცვლილებებს 2028 წლისთვის უნდა ველოდოთ.

კვლევითი ფირმის, Lux Research-ის მიხედვით, თუკი იაპონიაში მარწყვის დიდი მოსავალი რამდენიმე ფერმიდან არის ასაღები, რობოტების საშუალებით მათი აღება უფრო ეფექტურ შედეგს იძლევა. საშუალოდ, მიწათმოქმედი გლეხი იაპონიაში 70 წლისაა, რობოტი კი უფრო სწრაფი და იაფიანი შესაძლებლობაა.

დიდ ამერიკულ პლანტაციებში რობოტები უკვე გამოიყენება, იქ ავტომატიზებულმა ტრაქტორებმა და კომბაინებმა ბაზრის 10% უკვე აითვისეს. 2028 წლისთვის ევროპაში სალათის ფურცლების მოსავლის მიღება ავტომატიზებული გახდება.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების რობოტების ბაზარი 2024 წლისთვის 473.9 მილიარდს მიაღწევს. 2015 წელს მისი ღირებულება 43 მილიარდს შეადგენდა. კვლევითი ფირმის Tratcica-ს მონაცემებით, 2024 წლისთვის უპილოტო ტრაქტორები ყველაზე დიდი შემოსავლის გენერატორები იქნებიან — ეს თანხა 430.7 მილიარდი იქნება.

კიდევ ერთი ტექნოლოგია, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დარგში გამოიყენება, არის სპეციალური კამერებით აღჭურვილი დრონები (საფრენი აპარატი, რომელსაც კამერა აქვს). მისი ფუნქცია ნათესებსა და საქონელზე მეთვალყურეობაა.

იანვარში გამოქვეყნებულ მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის კვლევაში აღნიშნული იყო, რომ გენეტიკის, ხელოვნური ინტელექტის, რობოტოტექნიკისა და სხვა ტექნოლოგიური ცვლილებების შედეგად, 2020 წლისთვის 5 მილიონზე მეტი სამუშაო ადგილი გაქრება. Bank of England-ის მთავარმა ეკონომისტმა — ენდი ჰენდელმა თქვა, რომ ავტომატიზაციის გამო სამსახურს მილიონობით ადამიანი დაკარგავს.

ტრაგედია ვაჩიანში

სოფელ ვაჩიანში 37 წლის ქალი და მისი სამი შვილი გარდაცვლილი ნახეს. ბავშვების ასაკი 5, 16 და 18 წელია. სახლში მხოლოდ ქალბატონი და მისი შვილები ცხოვრობდნენ, ოჯახის უფროსი კი რუსეთში სამუშაოდ იმყოფება. მომხდარის მიზეზები ჯერ-ჯერობით უცნობია. ცხედრები ნინოწმინდის რაიონული ექსპერტიზის ბიუროში გადაასვენეს, სადაც გვამებს ექსპერტიზა ჩაუტარდათ. წინასწარი ინფორმაციით, შემთხვევა 2 დღის წინათ მოხდა, ცხედრები მეზობლებმა გუშინ შემთხვევით აღმოაჩინეს. დედასა და უფროს გოგონებს, სავარაუდოდ, თავის არეში აქვთ ბლაგვი საგნით სასიკვდილო ჭრილობები მიყენებული. უმცროსი, 5 წლის ბიჭი კი გაგუდულია. მთელი ღამის განმავლობაში ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. მომხდარის შესახებ სხვა ინფორმაცია ამ ეტაპზე არ ვრცელდება.

უკანონო ცეცხლსასროლი იარაღი და საბრძოლო მასალა ამოიღეს

შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვის ბრალდებით, 1991 წელს დაბადებული ვაჟა გ. თბილისში, გლდანის დასახლებაში დააკავეს.

სამართალდამცველებმა, ვაჟა გ.-ს საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას, მაკაროვის კონსტრუქციის, 2 არარეგისტრირებული პისტოლეტი, არარეგისტრირებული გლუვლულიანი სანადირო თოფი და 27 საბრძოლო ვაზნა ამოიღეს.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

საქართველო მართლმადიდებელ საპარლამენტო 24-ე გენერალურ ასამბლეას უმასპინძლებს

ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის შემდეგ ეს იქნება რიგით მეორე ასამბლეა, რომელსაც 25-წლიანი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პირობებში, საქართველო უმასპინძლებს.

აღნიშნულის თაობაზე საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ზაქარია ქუცნაშვილმა „კვირას“ პრესკონფერენციაზე განაცხადა და აღნიშნა, რომ იგი საბერძნეთში, მართლმადიდებელი საპარლამენტო ასამბლეის საერთაშორისო სამდივნოს წევრად აირჩიეს.

„ეს არის უმაღლესი მმართველი ორგანო მართლმადიდებელი საპარლამენტო ასამბლეის, ამის ზემოთ არის მხოლოდ ორი თანამდებობა: გენერალური მდივანი და პრეზიდენტი. საერთაშორისო სამდივნოში საქართველოს არჩევა ნიშნავს იმას, რომ მოგვეცემა საშუალება, 22 მართლმადიდებელი ქვეყნის საპარლამენტო ასამბლეის მართვაში ყოველდღიური მონაწილეობა მივიღოთ. ამ ორგანიზაციაში მონაწილეობის მიღება სრულ თანხვედრაშია საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან. დღეს მოვერიდები საქართველოს ეროვნული ინტერესების იდენტიფიკაციას, იქიდან გამომდინარე, რომ მომავალ წელს მართლმადიდებელი საპარლამენტო 24 -ე გენერალური ასამბლეის მასპინძელი საქართველო იქნება“, — განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

განცხადება

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა განაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

◎ ანეკდოტები

სიძის ჩანაწერებიდან:

— ახლა ძალიან მიყვარს ჩემი სიდედრი... დღითი დღე სულ უფრო და უფრო მეტად... მალე ორმოციც გვექნება.

* * *

რეჟისორი ახალგაზრდა მსახიობ ქალს სცენის შინაარსს უხსნის.

— ოთახში მყუდროდ ზიხართ და ტელევიზორს უყურებთ, ამ დროს შემოვარდება მძარცველი, გაგკოჭავთ და გაგაუპატიურებთ. გასაგებია?

— დიახ, რა თქმა უნდა, მძარცველი სიმპათიურია?

— მაშ როგორ?!

— მაშინ, გაკოჭვა რა აუცილებელია.

* * *

მთვრალმა გურულმა ტაქსი გააჩერა და ჩაჯდა.

— სად მიბრძანდებით? — ეკითხება მძღოლი.

— მაი არაა შენი საქმე.

* * *

— **ახალი** საწოლი იყიდეთ ლამარა?

— ნახე?

— არა, გავიგონე.

* * *

უცხოეთიდან დაბრუნებული გურული მეზობელს შთაბეჭდილებებს უზიარებს.

— ერთობ კაი ცხოვრება აქვენ ზაგრანიცაში! ჩვენთან როა, ვიტენებით მწვადებით და ნანადირევის ლეშით, იქინე მასთე არაა, მიზა არიან ფიგურებიანი.

— აპა, რაფრაა?

— რაფრაა და, მაგალითად, დილას დგება კაცი ლოგინიდან, გააღებს მაცივარს, გამეიღებს ორ კვერცხს, შეწვავს, შეჭამს და მიდის სამსახურში.

— მე რა მეშველება, ქათამი საერთოდ არ მყავს.

— მაშინ მეიფხანე ორი კვერცხი და წაი ყანაში.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
292-00-93
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გამოიწერეთ:
6 თვით — 60 ლარი,
1 წლით — 120 ლარი.
მიმართეთ: „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია — 2 93 37 87; 599 79 76 79; „მაცნე“ — 2143906; „ელვასერვისი“ — 2 388 012; „პლანეტა-ფორტე“ — 2 988 990; „პრესა-2012“ — 2341140; „ოლიმპი“ — 599 15 19 69; „პრესა+“ — 551555444; „ჯეომედია“ — 593 977 888.

ჩვენი მისამართია:
ქ. თბილისი, სულხან-საბას ქ. №3

ხელმოწერის ინდექსი
66434

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.307; ევრო - 2.57;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.065;
100 რუბლი - 3.612; თურქული ლირა - 0.796;
აზერბაიჯანული მანათი - 1.463;
1000 სომხური დრამი - 5.831

ამინდი 12 ივლისისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +15,	დღე +30
მთიანი რაიონები -	ღამე +11,	დღე +27
დასავლეთი საქართველო:		
ბარი -	ღამე +17,	დღე +31
მთიანი რაიონები -	ღამე +13,	დღე +28
თბილისი:	ღამე +18,	დღე +26

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 292-00-93, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE